18
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი [illegible]

კომუნისტი

ცენტრალურ და ს[illegible] კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, რედაქციის 10—38.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ხაზგასმული ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. [illegible]

№ 23 (875) სამშაბათი, 29 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 23 (875)

დღიური

რამზეი მაკდონალდი 4 მინისტრით გაირიცხნენ მეორე ინტერნაციონალის ბიუროს შემადგენლობიდან.

უნგრეთში გარდაიცვალა რუსეთის ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო.

შვეციის პარლამენტში [illegible] ლიგის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ [illegible]

რკინისგზელთა გაფიცვა ინგლისში გრძელდება.

ლენინის გარდაცვალება და ლენინიზმის ამოცანა

შეიძლება განა წარმოიდგინოთ ადამიანის, რომელსაც ოდესმე მოესმინოს ლენინი და დავიწყებოდეს ეს? მისი ცოცხალი სიტყვა კი გაუგონია ასეულ ათასს, თუ მილიონ ხალხს არა. და თითეულს, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება უშუალოთ მოესმინა ვლადიმერ ილიჩი, ლენინი თითქო უთმობდა თავის ნაწილს. სადაც არ იყვნენ დღეს ეს ასეული ათასი, ურიცხვი ხალხი, რომელთაც მოუსმენიათ ლენინისათვის, ან მარტო გაუგონიათ ლენინის შესახებ, რა რიგ გაფანტული არ იყოს ეს ხალხი დედამიწის პირზე,—მრავალი და მრავალი მათგანი, თუ ყველანი არა, მოიგონებენ დღეს ვლადიმერ ილიჩს ღრმა სულიერი მადლობის წრფელი გრძნობით იმისადმი, ვინც, როგორც არავინ, ასეთის სიძლიერით აატოკა უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი კაცობრიობის გული. მთელ მსოფლიოში ყველა ენებზე, მილიონი მშრომელები დღეს იმეორებენ ერთ სახელს: „ლენინი“.

თითეულში, ვინც იცნობდა ლენინს, ან მოუსმენია მისთვის, პირველ-ყოვლისა დღეს ლაპარაკობს პირადი მადლობის გრძნობა იმისადმი, ვინც ასეთ მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანა მუშათა კლასის იდეა, ვინც მთელი თავით აამაღლა კაცობრიობა. მით უფრო მეტის სიძლიერით ეს გრძნობა ლაპარაკობს იმ პარტიის ყველა წევრების გულში, რომელიც შექმნა ლენინის გენიამ, ვლადიმერ ილიჩის იმ მოწაფეების გულში, რომლებიც ოცი წლის და მეტის გნმავლობაში მუშაობდენ მასთან გვერდში, მასთან ერთად განიცდიდენ დამარცხებათა სიმწარეს და გამარჯვებათა სიხარულს, სწავლობდენ მისგან, იცნობდენ მას არა როგორც მარტო გენიალურ ბელადს, არამედ როგორც ადამიანს და მასწავლებელს.

1883 წელს 14 მარტს, მარქსის გარდაცვალების დღეს, ენგელსი სწერდა მარქსის ძველ ამხანაგს—ზორგეს. „ყოველგვარი მოვლენები, თვით [illegible] მათ შორის, ხდებიან ბუნებრივი განონით და [illegible]. მაგრამ ამ შემთხვევა[illegible] შესაძლოა გაგრძელებინა მისთვის რამოდენიმე წლის ფიზიკური არსებობა, ცხოვრება უმწეო და მხოლოდ ექიმების ხელოვნებისათვის სასახელო, მომკვდარიყო არა უეცრად, არამედ ნელ-ნელა. მაგრამ ასეთი სიცოცხლე ჩვენმა მარქსმა არ მიიღო. ისეთი ცხოვრება, როდესაც მას წინაშე იყო დაუმთავრებელ სამუშაოს მთელი რიგი, ტანტალისებური წვალების განცდა მათი ბოლომდე მიყვანის შეუძლებლობის გამო—მისთვის ათასჯერ უფრო მძიმე იყო, ვინემ მშვიდი სიკვდილი. ჩემი აზრით, ყველა ამ განცდების შემდეგ, სხვა გამოსავალი არ იყო“. დღეს, როდესაც ჩვენს წინაშე დევს ვლადიმერ ილიჩის ცხედარის საქიმო განკვეთის მშრალი ოქმი, გვეხდება, საუბედუროთ, ენგელსის ამ სიტყვების გამოყენება ლენინის მიმართ. [illegible]—უზომოდ მძიმე მუშაობისაგან ძალების ზეადამიანურად დაჭიმვის შედეგმა—ვლადიმერ ილიჩის მდგომარეობა გახადა უიმედო თვით იმ უკანასკნელ მომენტამდე, რომელიც მოხდა 21 იანვარს და რომელმაც მიგვიყვანა კატასტროფამდე ლენინი, რომელიც მოკლებულია საშუალებას ილაპარაკოს, სწეროს, წაიყვანოს ხალხი ბრძოლაში, იმუშაოს და იმუშაოს განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო მეტი ტანჯვა ამ მეამბოხე ბუნებისათვის ამ მეამბოხესათვის ყველა მეამბოხეთა შორის, ან მოაზროვნესათვის ყველა მოაზროვნეთა შორის? მაგრამ გული გავიმაგროთ. დეე, თვითეულმა თვითონ განიცადოს ის გრძნობა, რომელსაც იწვევს ჩვენში ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალება. ვცადოთ უკვე ეხლა, მოუღლელ სიმშვიდით და სიმტკიცით, რომელსაც გვასწავლიდა ჩვენი ვლადიმერ ილიჩი, დავისახოთ ამოცანები, რომელიც წამოაყენა ლენინელების წინაშე ლენინის გარდაცვალებამ.

უკანასკნელ დრომდის ჩვენ ყველას მთელს პარტიას გვწამდა, რომ ვლადიმერ ილიჩი დაუბრუნდებოდა კიდევ მუშაობას. გვწამდა: ლენინი ხომ ათჯერ და ასჯერ ახერხებდა იმის გადაჭრას, რის გადაჭრაც ერთი შეხედვით შეუძლებელი იყო.

ეხლა აღსრულდა. პარტიამ ულენინოთ უნდა იმუშაოს. „პროლეტარიატის მოძრაობა წავა თავის გზით, მაგრამ აღარ იქნება უკვე ცენტრი, რომლისაკენაც ისწრაფოდენ დახმარებისათვის კრიტიკულ მომენტებში ფრანგები, რუსები, ამერიკელები, გერმანელები, რომელნიც იღებენ მისგან სრულიად ნათელ და სწორ რჩევას, რომელსაც მიცემა შეეძლო მხოლოდ გენიოსს—ადამიანს, რომელიც სავსებით ფლობს საგანს“,—ასე სწერდა ენგელსი მარქსის გარდაცვალების დღეს. ამ დაობლობის გრძნობას განვიცდით დღეს ჩვენ ყველანი. ამოცანები, რომელნიც იდგენ მარქსისტების წინაშე 1883 წ. მარქსის სიკვდილის შემდეგ, უფრო რთული და ძნელი გახდენ. მაგრამ რამდენად უფრო ძნელი და რთულია ჩვენს—მარქსისტ ლენინელების წინაშე მდგარი ამოცანა 1924 წ., როდესაც ჩვენ მიგვატოვა ლენინმა!

მარქსის გარდაცვალების შემდეგ მარქსისტების წინაშე იდგა პირველ რიგში თეორეტიული ამოცანები. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა განიცდიდა კრიზისს. პირველი ინტერნაციონალი დაიშალა, ხოლო მეორე ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. საფრანგეთის მუშათა მოძრაობა—და განა მარტო იგი,—კიდევ უილაჯობის ხანაში იმყოფებოდა პარიზის კომუნის განადგურების შემდეგ 1871 წელს. საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა ის იყო გამოდიოდა ფართე გზაზე. მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რათა მარქსის მიერ დატოვებული დიადი თეორეტიული მემკვიდრეობა გამხდარიყო მუშათა ფართო მოძრაობისათვის მისაწვდომი.

მარქსისტ-ლენინელების ამოცანა დღეს გაცილებით რთული და პასუხსაგებია. საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუცია დაიწყო და პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ერთ ერთ დიდ ქვეყანაში. ამავე დროს საერთაშორისო მასშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებისათვის დიადი ბრძოლის სიძნელენი ჯერ კიდევ წინ არის. მეორე ინტერნაციონალი თავისი მიაზმებით ჯერ კიდევ ზხამავს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას.

ვლადიმერ ილიჩის მიერ შექმნილი კომინტერნის ამოცანები დღითი დღე რთულდება. სავალი გზა უფრო და უფრო მიხვეულ-მოხვეული და მძიმე ხდება.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მეორე ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო განმტკიცებული იქნას კავშირი მუშების უპარტიო მასასთან.

ლენინის სიკვდილმა უდიდესი გულის ტკივილი გამოიწვია არა მარტო კომუნისტების შორის, არამედ უპარტიო მუშების გულშიც. თუ ჩვენ გვსურს შევასრულოთ ვლადიმერ ილიჩის ანდერძი, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკების კავშირის მრავალმა მილიონმა უპარტიო მუშამ დაინახოს: ლენინი მოკვდა, მაგრამ მის მიერ შექმნილი პარტია არ დაჰკარგავს ლენინის მემკვიდრეობას, არამედ უფრო მეტის ენერგიით შესძლებს კავშირის დამყარებას მოწინავე კომუნისტებსა და მთელ დანარჩენ უპარტიო მასას შორის, ლენინის გუთნით ის შესძლებს ახალი, უფრო ღრმა ფენების ამოღებას უპარტიო მუშების სიღრმიდან, დახმარების გაწევას თითეული მუშისათვის, რომელშიც ღვივის ნიჭის ნაპერწკალი, ის შესძლებს დახმარების გაწევას მრავალ-მილიონიან მუშათა მასისათვის, რომ მან ისწავლოს და ისწავლოს, აამაღლოს თავისი კულტურული დონე, ეზიაროს სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

მესამე ამოცანა, რომელიც ლენინიზმის წინაშე დგას, მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას პარტიის მთლიანობა, შექმნილი ვლადიმერ ილიჩის მიერ. ყველაზე უდიდესი, რაც შექმნა ლენინის გენიამ, ეს არის რ. კ. პ., მის მიერ აღზრდილი საუკეთესო, რაც იყო ვლადიმერ ილიჩში, მან მისცა ჩვენს პარტიას. თავისი გულის სისხლით შეადუღა ის მან. ჩვენი პარტია ვლადიმერ ილიჩს მუდამ ჟამს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც მონოლიტური, მთლიანი, ერთი ნაჭერისგან გამოკვეთილი ორგანიზაცია, რომელიც შესძლებს ერთად თავის მოყრას ყველაფრის, რაც არის ძლიერი მუშათა კლასში.

ამ მნიშვნელობით ლენინის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა უფრო ძვირფასი მემკვიდრეობა არის, ვიდრე ის, რომელიც მარქსისტებს დაუტოვა მარქსმა 1883 წელს, როცა ის გარდაიცვალა. რ. კ. პ. უნდა დარჩეს მუშათა კლასის ავანგარდი, მისი [illegible], მისი კოლექტიური ბელადი. ამ ამოცანის შესრულებას პარტია შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება მთლიანი.

ჩვენს მეოთხე ამოცანას შეადგენს—დავრჩეთ მებრძოლი ბოლშევიზმის პარტიად. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ჭრელი რიგების გარდამავალი პერიოდის სიძნელეთა გადალახვით, ბურჟუაზიული მტრების რკალში უკან დახევით, როცა ეს საჭიროა, რომ ხვალ უკეთესად შევუტიოთ—დავრჩეთ მებრძოლი ბოლშევიზმის პარტიად, ისეთად, როგორიც შექმნა ის ლენინმა. განვჭვრიტოთ ყველა საფრთხე, ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებული, თვალის დაუხუჭავად გადაგვარების არსებულ საფრთხეებზე, შეუბრალებლად ვიბრძოლოთ ლენინიზმის გადამახინჯებას, წვრილ ბურჟუაზიულ შეხედულებათა აღორძინებას, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდენ ისინი.

მახსენდება სმოლნის პირველი დღეები, ოქტომბრის დიდი გადატრიალების შემდეგ ასეული ათასი ჯარისკაცები სანგრებიდან, გლეხები, ჯარისკაცების ფარაჯაში, მზით დამწვარ სახეებით, ნიაღვარივით მიექანებოდენ სმოლნისკენ, რომ ეხილათ ლენინი, ეთქვათ მისთვის ორიოდე სიტყვა, ეკითხათ მისთვის, თუ რა მოგველის ხვალ ყველა ჩვენ. ათასი და ათასი ასეთი გლეხები—ჯარისკაცები დაკვირვებით შეჰყურებდენ თვალებში ვლადიმერ ილიჩს, რომელშიც თითეული მათგანი ალღოთი ხედავდა ხალხის ნამდვილ წარმომადგენელს, რუსეთის ახალ ბელადს.

ზოგიერთები ამ ჯარისკაცებიდან ისწავლიდენ ლენინს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. „როგორი ხარ შენ? შესძლებ შენ ჩვენს წაყვანას გამარჯვებისკენ, ახალ ცხოვრებისაკენ?“

ახლა, როცა ეს ბუმბერაზი წაიქცია ულმობელმა სიკვდილმა, რუსი მუშა და გლეხი ასეთივე ყურადღებით მიაპყრობს თვალებს ჩვენს პარტიას, ლენინის მიერ შექმნილს.

მუშა და გლეხი შეეკითხება ჩვენს პარტიას: „წაგვიყვან შენ გამარჯვებისაკენ ახლა, როცა ლენინი არ გვყავს?“ ვიმუშაოთ ისე, რომ ჩვენ გვქონდეს უფლება უპასუხოთ მუშათა კლასს და გლეხობას: „წაგიყვანთ!“ პარტია, რომელიც აღზარდა ლენინმა, შესძლებს დარჩეს იმ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე, რომლებსაც მას უყენებს დიდი ისტორიული ეპოქა. რუსი ლენინელების წინაშე, ლენინელების წინაშე კომინტერნში, ისე როგორც მთელს მსოფლიოში, დგანან განუზომელი, მნიშვნელოვანი, გრანდიოზული ამოცანები. უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ მასწავლებელმა, ეს არის: პირველი—საბჭოთა კავშირი, მეორე—კომინტერნი თავისი ავანგარდით, კომუნისტური პარტიით. ჩვენს წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანების შეგნებით, რომლებიც ამიერიდან ჩვენ უნდა გადავჭრათ კოლექტიური გამოცდილებით, ვლადიმერ ილიჩის გენიალური რჩევა-დარიგების გარეშე, ჩვენ უფრო მტკიცედ უნდა შევკავშირდეთ. ლენინის სიკვდილი არ შეიძლება არ დარჩეს ძმური შეკავშირების ნიშანი ყველა იმათთვის, ვინც არის ჭეშმარიტი ლენინელი.

ვეცადოთ ვიმუშაოთ ისე, რომ ყველამ ერთად მცირეოდნათ მაინც შევავსოთ ლენინის სიკვდილით გამოწვეული დანაკლისი. შევიტანოთ იმ დიდ საქმეში, რომელიც გვიანდერძა ილიჩმა, მისი ერთგულება, სიფრთხილე, სიმშვიდე, ენერგია, გამბედაობა, მისი სიყვარული საქმისადმი და თუ გინდ მცირეოდენი მისი შორსმჭვრეტელობა“.

გ. ზინოვიევი.

ლენინის მემკვიდრეობა

„პროლეტარიატის მოძრაობა თავისი გზით განაგრძობს განვითარებას, მაგრამ აღარ არის ცენტრალური პუნქტი, რომელსაც გადამწყვეტ შემთხვევებში უშუალოდ მიჰმართავდენ ხოლმე ფრანგები, რუსები, ამერიკელები, გერმანელები, რომ მიეღოთ ყოველთვის ნათელი და პირდაპირი რჩევა, რომელიც შეეძლო მიეცა მათთვის მხოლოდ ყოველმხრით ცოდნით შეიარაღებულ გენიოსს“.

ეს სიტყვები 1883 წ. მისწერა ფრიდრიხ ენგელსმა თავის მეგობარსა და ამხანაგს ფ. ზორგეს კარლ მარქსის გარდაცვალების გამო.

[illegible] ორმოც წელზე მეტმა განვლო ამ წერილის დაწერის შემდეგ და დღეს, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატმა დაჰკარგა თავის მეორე უდიდესი წინამძღოლი, თანამედროვე კარლ მარქსი—ვლადიმერ ილიას ძე ლენინი,—ენგელსის ზემოთ მოყვანილი სიტყვები სწორედ ზედგამოჭრილია ჩვენი მდგომარეობის დასახასიათებლად.

თანამედროვე პროლეტარიატის მოძრაობა კვლავ თავისი სიძლიერით განვითარდება და იგი აუცილებლად მიაღწევს თავის საბოლოო მიზანს,—განამტკიცებს მთელს მსოფლიოში კომუნისტურს ნიადაგზედ აგებულს წყობილებას, — მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარიატის უდიდესი ხელმძღვანელი, უმაღლესი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული მისი ბელადი დღეს ცოცხალი აღარ არის.

ლენინის დაკარგვით მუშათა კლასმა დაჰკარგა უდიდესი სარდალი; დაჰკარგა სწორედ იმ დროს, როდესაც მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი ბრძოლის პირობებში არის ჩაბმული და ხელჩართულ ომს აწარმოებს შრომის გასანთავისუფლებლად. დღეს მთელს მსოფლიოში გაცხარებული ბრძოლა არის გამართული პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის! შრომასა და კაპიტალს შუა.

ასეთს პირობებში გამოცდილი სარდლის დაკარგვა მართლაც მეტად დიდი დანაკლისი არის.

მაგრამ იგი დანაკლისი არ არის ისეთი, რომელსაც შეეძლოს აუცილებლად გამოიწვიოს პროლეტარიატის დამარცხება, რევოლიუციონური მოძრაობის განადგურება.

ამის საწინდარი ლენინის ხანგრძლივი, ნაყოფიერი რევოლიუციონური მუშაობა არის.

თვით ლენინმა დაგვიტოვა თავისი მემკვიდრე. ეს მემკვიდრე მის მიერ შემუშავებული და განმტკიცებული რევოლიუციონური სკოლა არის.

ლენინის მიერ დატოვებული ლენინიზმი არის იმის თავდები, რომ პროლეტარიატი აუცილებლად მიაღწევს თავის საბოლოო გამარჯვებას.

ამ სკოლაში ლენინის პირდაპირი ხელმძღვანელობით აღიზარდა მთელი შტაბი საუკეთესო რევოლიუციონერებისა,—ძველი ბოლშევიკური გვარდია, რომელმაც შეითვისა და შეისისხლხორცა ლენინის ბრძოლის მეთოდები.

ეს გვარდია იბრძოდა ლენინის მეთაურობითა და მისი წინამძღოლობით იატაკ-ქვეშ შავი რეაქციის ხანაში; იმუშავებდა ბრძოლის იარაღს გაბატონებულ კლასების ჩამოსაგდებად და ძველი დახავსებული წესწყობილების გასანადგურებლათ.

იგივე გვარდია მოექცა ლენინთან ერთად მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სათავეში და ლენინის პირდაპირი ხელმძღვანელობით გაატარა ცხოვრებაში პროლეტარიატის დიქტატურა. მან შეითვისა, თუ როგორი გზით, როგორი საშუალებით და იარაღით უნდა იბრძოლოს გაბატონებულმა პროლეტარიატმა თავისი ძალაუფლების გასამტკიცებლად და შემდეგი უფრო დიადი გამარჯვებების მისაღწევად.

ლენინის რკინის ხელებმა, მტკიცე ნებისყოფამ და პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ გამოიყვანა პროლეტარიატი მძიმე გასაჭირიდან, როდესაც მას გარს ეხვია შინაური და გარეშე მტრები, და მთელი დედამიწის ერთი მეექვსედის ნაწილზე განამტკიცა ჯერ ისტორიაში არ ნახული მუშურ-გლეხური სახელმწიფო, პროლეტარიატის დიქტატურა.

ამ ბრძოლების პროცესში—როგორც იატაკ-ქვეშ, ისე იატაკ-ზევით—სახელმწიფოს სათავეში,—ლენინმა აღზარდა თავისი მემკვიდრე თაობა. თავისი სკოლის ერთგული და თავდადებული მებრძოლი.

ეს თაობა ერთს მთლიან ძალას წარმოადგენს—ერთი მტკიცე ორგანიზაციისაგან შესდგება; კომპარტია არის ლენინის სისხლი და ხორცი, მისი ღვიძლი შვილი; იგი ერთი ფოლადისაგან არის ჩამოსხმული და ერთი მთავარი იდეით სულდგმულობს.

იგი არის რევოლიუციის შტაბი, მუშათა კლასის ხელმძღვანელი და მოწინავე, რომლის გარშემო თავს იყრიან მთელი მსოფლიოს ათეული მილიონი ჩაგრული და გაყვლეფილი მშრომელი მასიები.

ამ შტაბს მემკვიდრეობით გადმოეცა ლენინის რკინის ხელები, მისი მტკიცე ნებისყოფა და პოლიტიკური გონიერება.—ასეთი ძვირფასი საგანძურით იგი შესძლებს ღირსეული მემკვიდრე გახდეს დიდი რევოლიუციონერის და კაცობრიობის განთავისუფლების საქმე თავის ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიიყვანოს.

ლენინის უდიდესი ღვაწლი და მნიშვნელობა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ის რეალურად შეუდგა სოციალური ცხოვრების გარდაქმნას ახალს საფუძვლებზედ, არამედ იმაშიც, რომ მან დასტოვა გამოცდილი, დახელოვნებული პროფესიონალი რევოლიუციონერები, ზედმიწევნით მცოდნე ოსტატები მის მიერ დაწყებული შენობის დასამთავრებლად.

ლენინის დიდი ღირებულებაც სწორედ ამაშიც მდგომარეობს.

1919 წ. საფრანგეთის სინდიკალიზმის მამამთავარი ჟორჟ სორელი „ლენინის დასაცავად“ დაწერილს წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლენინი მას წარმოდგენილი ჰყავს ერთდაიმავე დროის როგორც უდიდესი თეორეტიკოსი, რომელიც კი მარქსის შემდეგ მისცა კაცობრიობას სოციალიზმმა, და სახელმწიფო მოღვაწედ, რომლის გენიც გვაგონებს პეტრე დიდს.

სორელმა სრული სიმართლე სთქვა: ლენინში თავმოყრილი იყო უდიდესი თეორიული ცოდნა და უფრო მეტი პრაქტიკული ნიჭი: ასეთი მთლიანი ფიგურა იშვიათად მოუცია ისტორიას:

ვერც ერთი ისტორიული პიროვნება ვერ შესძლებს ავიდეს ლენინის სიმაღლემდე და მისი თანაბარი ადგილი დაიჭიროს.

ლენინი სინტეზი იყო თეორიისა და პრაქტიკის, მეცნიერებისა და საქმის, გონებისა, და მტკიცე ნებისყოფის, და სწორედ ლენინის პიროვნების ამ დამახასიათებელმა თვისებებმა გახადა იგი უდიდესს რეფორმატორად მთელს მსოფლიოში.

მუშათა მოძრაობის ისტორიამ მხოლოდ ორი უდიდესი პიროვნება იცის: მე-19-ე საუკუნის სოციალიზმის ცენტრალური ფიგურა კ. მარქსია, ხოლო მე-20 ე საუკუნე ლენინის პიროვნებაში პოულობს თავის განსახიერებას. მარქსმა მისცა დამთავრებული თეორია პროლეტარიატს და მეცნიერულად დაასაბუთა ის გზები, რომლითაც უნდა მოხდეს სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაცია. ლენინმა—მარქსიზმის თეორიული იარაღით აღჭურვილმა—პრაქტიკულს ნიადაგზე დააყენა სოციალიზმის საქმე და პროლეტარიატის იდეალების რეალიზაციას შეუდგა.

თუ მე-19-ე საუკუნის მუშათა მოძრაობის მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების საკითხში „კომუნისტურმა მანიფესტმა“ უდიდესი როლი ითამაშა, მე-20-ე საუკუნის სოციალისტურმა რევოლიუციამ თავისი მეცნიერული და პრაქტიკული გამოხატულება ლენინის „სახელმწიფო და რევოლიუცია“-ში ჰპოვა.

ამ ნაშრომმა მოხაზა ოქტომბრის [illegible] მთავარი კონტურები და განსაზღვრა ის გზები, რომელიც უნდა [illegible] თანამედროვე სო[illegible] გარდატეხამ.

მარქსი სოციალიზმის თეორეტიკოსია.

ლენინი უმთავრესად სოციალიზმის პრაქტიკოსი: მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა: „უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა რევოლიუციის ცდების მოხდენა, ვინემ მათ შესახებ წერა“.

მხოლოდ მას შეეძლო დაუნდობლად გამოედევნა პროლეტარიატის ოჯახიდან იქ შეხიზნული რეფორმისტული ელემენტები და „რევოლიუციის მოხდენის“ საქმე რკინის ხელებისა და ფოლადის ნებისყოფის მქონე პარტიისათვის ჩაებარებინა.

დღეს ლენინი აღარა გვყავს, იგი გარდაიცვალა. მაგრამ მან დაგვიტოვა საუკეთესო რევოლიუციონური სკოლა; ამ სკოლაში აღზრდილი მემკვიდრე თაობა კომპარტიის სახით: მანვე თავისი ხელებით აგვიშენა უდიდესი მუშურ-გლეხური რესპუბლიკა.

ამ ძალებით პროლეტარიატი გაიმარჯვებს.

სიმონ ხუნდაძე.

ლენინის დასაფლავება.

დასაფლავების წინ.

მოსკოვი. 28 იანვარი. შუაღამიზე, ილიჩის დასაფლავების წინ, ილიჩის ცხედრის ნახვა შეწყვეტილი იქნა, საპატიო ყარაული მოიხსნა. დარჩენ ნათესავები და ახლობელნი. ღამის ორ საათზე წავიდნენ ისინიც. პროფესორმა აბრიკოსოვმა, მისმა თანაშემწემ—ექიმმა ტროფიმოვმა და ექიმმა ვეისბრომა ამხ. ბონჩ-ბრუევიჩის და აფანასიევის და დამკრძალავი კომისიის წევრების თანადასწრებით გასინჯეს ნეშთი. გამოირკვა, რომ ხუთი დღის განმავლობაში არავითარი ნიშნები არ არის გახრწნის.

ნეშთის ღია ნაწილების გახმობის თავიდან ასაცილებლად აბრიკოსოვმა შეუსხაპუნა სპეციალური სითხე. კუბოს შუშის ნაწილების ორთქლით დაფარვისაგან ასაცილებლად, შუშის ქვედა ნაწილებს პარაფინის ზეთი წაუსვეს.

საპატიო ყარაულმა თავისი ადგილი დაიკავა.

აბრიკოსოვის ცნობით, ილიჩის ნეშთი გაუხრწნელად შეინახება რამდენიმე თვის განმავლობაში. შემდეგ ტემპერატურის მიხედვით, შეიძლება მოხდეს ღია ნაწილების ცვლილება გახმობის გამო. თუ წლის თბილ პერიოდში მიღებული იქნება ზომები აკლდამაში ტემპერატურის დასაცავად ნულსა და ორ გრადუსს შორის, შენახვა უფრო ხანგრძლივად შეიძლება,

უკანასკნელი გამოთხოვება

დილის შვიდნახევარ საათზე „კოლონნი“ დარბაზში სიწყნარეა. აღარ არის მშრომელთა დაუსრულებელი რიგები, არ არის ორკესტრი კუბოსთან, კვლავ არის ნადეჟდა კონსტანტინოვნა. იკრიბებიან საკავშირო ცაკის წევრები, მოსკოვის ცენტრალურ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების და წითელარმიის წარმომადგენლები, მოსკოვის მუშების დელეგატები. 8 საათზე ყარაულის უფროსი ამხ. სკლიანსკი აყენებს კუბოსთან საპატიო ყარაულს: ამხ. ზინოვიევი, სტალინი, კალინინი და კამენევი. თითეულ მათგანს გვერდში უდგას მუშა—რკინისგზელი ალექსეევი, პუტილოვის ქარხნის მუშა—კუზნეცოვი, ობუხოვის ქარხნის მუშა—[illegible]ტრაკოვი და ქარხნის „ილიჩ“-ის მუშა—ნიკიტინი.

შემდეგ მათ სცვლიან ამხ. ბუხარინი, რიკოვი, მოლოტოვი და ტომსკი. კუბოს უახლოვდება მარიამ ილიას ასული. ჩნდება დიდი თეატრის ორკესტრი, დიპლომატიური ლოჟა ივსება დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებით, გერმანიის ელჩის ბროკდორფ-რანცაუს მეთაურობით. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს.

კუბოსთან ახალი საპატიო ყარაული დგას: ამხ. ძერჟინსკი, ჩიჩერინი, პეტროვსკი და სოკოლნიკოვი ცხედარის თავთან მწკრივდებიან ამხ. ბუხარინი, სტალინი, ზინოვიევი, ტომსკი, რიკოვი, კამენევი, კალინინი, ციურუპა და სხვები. ფოტოგრაფები იღებენ უკანასკნელ სურათებს; დარბაზი სავსეა; დარბაზს ავსებენ ვაგნერის და მოცარტის სამგლოვიარო ჰანგები.

კუბოსთან დგება ახალი საპატიო ყარაული: ამხ. კუიბიშევი, ორჯონიკიძე, პიატაკოვი და ენუქიძე. ორკესტრი შეწყდა. დარბაზი მღერის: „თქვენ მსხვერპლათ დაეცით“; კუბოსთან ნადეჟდა კონსტანტინოვნას უერთდებიან ანნა ილიას ასული ელიზაროვა და დიმიტრი ილიას ძე ულიანოვი. დილის 9 საათზე ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს, რომელსაც ბანს აძლევენ დარბაზში მყოფნი.

მწკრივი რიგებით ნელა გამოდიან დარბაზიდან, ცდილობენ ერთხელ კიდევ შეხედონ და სამუდამოთ დაიმახსოვრონ მის სახე. კუბოსთან რჩებიან: ილიჩის ოჯახის წევრები და ახლობელ ამხანაგების და თანამბრძოლთა ჯგუფი. კავშირების სახლის წინ სამხედრო ყარაული ორის მხრით რკალავს სვერდლოვის მოედანს ბოლოს გასწვრივ. [illegible] ეწყობიან დელეგაციები დროშებით და გვირგვინებით.

ცხედარის გამოსვენება

დილის 9 საათზე და 20 წუთზე: ბრძანება—„სმენა“ ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს, იხრება დროშები. ამხ. სტალინს, ზინოვიევს და მუშებს კოროლევს, შაჰკოვს, პოპრუკაილოს, ტარასოვს და სინჩენკოს გამოაქვთ კუბო. მოედანზე მათ სცვლიან კალინინი, კამენევი, კურსკი და ოთხი მუშა და გლეხი—სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის დელეგატები. კუბოზე იხრებიან კომინტერნის, რ. კ. პ. ც. კ და „ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა საზოგადოების“ დროშები. წინ ამართულია „ძველი ბოლშევიკების საზოგადოების“ დროშა. კუბოს უკან—ილიჩის ოჯახი, კომინტერნის აღმასკომის, რ. კ. პ. ც. კ წევრები, მთავრობის წევრები, შემდეგ საბჭოთა კავშირის ცაკის, სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს წევრები, პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პროფინტერნის ბიუროს, მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის, რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის წევრები, სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის დელეგატები, მოსკოვის მუშათა ორგანიზაციების და წითელი არმიის ნაწილების წარმომადგენლები. სამგლოვიარო მარშის განუწყვეტელი ჰანგებით, ყარაულში მდგომ ნაწილებს და დახრილ დროშებს შორის კუბოს მიასვენებდენ წითელ მოედანზე.

მისი საქმე ცოცხალი იქნება საუკუნოთ.

მოსკოვი. 28 იანვარი. დიდი ხნით ადრე სამგლოვიარო პროცესიის დაწყებამდე საფლავთან თავი მოიყარეს მუშათა და გლეხთა დელეგაციებმა, რომლებმაც „მავზოლეის“ გარშემო მთელი არე აუარებელი გვირგვინებით მოჰფინეს. მთავარი ლოზუნგია: „ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი საქმე ცოცხალი იქნება საუკუნოდ“.

ათის ნახევარზე წითელ მოედანზე ჩნდებიან სამგლოვიარო პროცესიის წინ მომავალი დელეგაციების პირველი რიგები გვირგვინებით. დელეგაციების ერთი ჯგუფი გვირგვინებს აწყობს კრემლის კედლის გასწვრივ. მეორე კი — საფლავთან. პროცესიის მოახლოვების დროს სპეციალურ ხის კვარცხლბეკთან, კუბოს წინ მოუძღვიან ამხ. ლაშევიჩი, ძერჟინსკი და მურალოვი. კუბო მოაქვთ ამხ. კამენევს, ავანესოვს, რუძუტაკს, ტომსკის. კუბოს მოყვებიან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, მარია ილიას ასული ულიანოვისა, ანა ილიას ასული ელიზაროვისა და დიმიტრი ილიას ძე ულიანოვი. შემდეგ რ. კ. პ. ც. კ და ცენტრ. საკონტროლო კომისიის, რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საკონტროლო კომისიის წევრები, კომინტერნის და პროფინტერნის წარმომადგენლები, რუსეთის და საკავშირო საბჭოთა ყრილობის დელეგატები, მოსკოვის საბჭოს წევრები, საგუბერნიო და საოლქო დელეგატების ცალკე წარმომადგენლები. მსვლელობის ბოლოში არტილერია და ცხენოსანი რაზმი. კუბოს სდგამენ კვარცხლბეკზე და ფარავენ რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის და კომინტერნის დროშებით. კუბოსთან დგას საპატიო ყარაული ცენტრალური კომიტეტის, კომინტერნის და მუშათა ორგანიზაციების წევრებისაგან. მორიგეობაში ერთმანეთს სცვლიან განსვენებულის ოჯახის წევრები. კუბოს კვარცხლბეკზე დადგმის შემდეგ დროებითი ხის კვარცხლბეკის ახლო მიექანება ცხენოსანი რაზმი და არტილერია.

კვარცხლბეკის ახლო მდგომ წითელ დროშელებს, ყარაულს და მუშათა დელეგაციებს მიმართავს სიტყვით ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ევდოკიმოვი და საკავშირო ყრილობის დავალებით აქვეყნებს ყრილობის მიერ მიღებულ მიმართვას მშრომელი კაცობრიობისადმი. ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს. ყველანი თავზე იხდიან, ჯარები სამხედრო სალამს აძლევენ.

უკანასკნელი პატივისცემა.

დილის 10 საათზე წითელ მოედანზე ჩნდებიან მუშათა რიგები—უკანასკნელი ვალის შესასრულებლათ. პირველათ—ზამოსკვორეჩიე შემდეგ წითელი პრესნა და ასე დაუსრულებლად, დაუსრულებლათ—მრავალ კოლონებს წინ გაუძღვის ორკესტრი, რომელიც უკრავს სამგლოვიარო მარშს და მშრომელთა ჰიმნს. ზოგიერთ რიგებში ისმის ქალების ისტერიული ტირილი. ჩუმი ტირილი ისმის იმ რიგებში, რომელიც რკალივით აკრავს დასაფლავების ადგილს.

ნაშუადღევის სამნახევარ საათზე კუბოს გარშემო რკალი თანდათანობით ვიწროვდება. რკალის წრეში გარდა დამკრძალავი კომისიის წევრებისა რჩებიან—ილიჩის ოჯახობა, რ. კ. პ. ცენტრალური და მოსკოვის კომიტეტის, ცენტრალური და მოსკოვის საკონტროლო კომისიის წევრები, კომინტერნის და პროფინტერნის და მუშათა და გლეხთა დელეგაციების წარმომადგენლები. ოთხ საათს ხუთი წუთი აკლია. კუბოს ათავისუფლებენ დროშებისაგან. სამარისებური სიჩუმე მეფდება. თვალები უნებლიეთ გად დიან კუბოდან საათზე. წუთი აკლია, რიგებში ტირილი ისმის. ბრძანება—„სმენა“, ჯარები სამხედრო სალამს აძლევენ.

4 საათზე ამხ. სტალინი, ზინოვიევი, კამენევი, მოლოტოვი, ბუხარინი, რუძუტაკი, ტომსკი და ძერჟინსკი იღებენ კუბოს და მიაქვთ აკლდამისაკენ წინ მედროშეები მიუძღვიან. აკლდამაში შესავალთან დროშებს ხრიან, კუბო იმალება ათეულ ათასი თვალთაგან, რომლებიც მიჰყვებიან თავის ილიჩს. ისვრიან ზარბაზნებიდან და თოფებიდან.

კუბოს შემტანნი 10 წუთს რჩებიან აკლდამაში. ბელადის თავთან დგას საპატიო ყარაული სრულიად რუსეთის ცაკის სახელობის სკოლის კურსანტებიდან. თანხლებნი უკანასკნელათ გამოეთხოვენ ილიჩს და ჩუმათ გამოვიდენ.

წითელ მოედანზე მასიური ხორალი: „თქვენ მსხვერპლად დაეცით. დაობლებული ხალხის ზღვა არ იკლებს. გაქვავდენ დასაფლავების დროს შეჩერებული რიგები. უკვე ღამდება, ახალი რიგები კი მოდიან და მოდიან.

მწერალთა და კომპოზიტორთა სამძიმარი

ლენინგრადი. 28 იანვარი. დრამატიულ მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირმა სამგლოვიარო კრებაზე მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია უღრმესი მწუხარება იმ პიროვნების გარდაცვალების გამო, რომელსაც ხელოვნება მიაჩნდა პროლეტარულ კულტურის უძლიერეს ბერკეტად.

აუარებელი ხალხი მოიწურება დასაფლავებაზე.

ლენინგრადი. 28 იანვარი. რადგანაც აუარებელი მსურველი მოიწურება დასაფლავებაზე დასასწრებლად, ლენინგრადის ბევრმა დელეგატმა ვერ მოახერხა რკინისგზის ბილეთის აღება და იძულებულნი გახდნენ წამოსვლაზე უარი ეთქვათ.

ამხ. ლენინის დასაფლავების დღე ტფილისში

ამხ. ლენინის დასაფლავების წინა ღამე და დღე ტფილისში დარჩება საქართველოს მშრომელთა ხსოვნაში მოგონებად, რომელიც დასაბამს მისცემს პოეზიას და ხელოვნებას შექმნას გაუგონარი ლეგენდები და მითები.

რა იყო 27 იანვარი? ეს არ იყო მხოლოდ გლოვა,—ეს იყო გამარჯვების ტრიუმფი და ძლევამოსილი რევოლიუციის ზეიმი.

ის, რაც ოდესღაც იყო ოცნება, რასაც მხოლოდ გენიოსი მხატვარის ნიჭი წარმოიდგენდა, რასაც ინატრებდა გატაცებული მებრძოლი შესვენების დროს, 27 იანვარს გადაიშალა წარმტაც სანახაობად, რომელიც თავის მრავალფეროვნებით და სხვადასხვაობით მნახველის გონებას ანცვიფრებდა და უხილავ სამყაროში გადაჰყავდა.

დასაფლავების წინა საღამო.

შაბათს, 26 იანვარს, როცა ყველა უბნებში მშრომელთა მასები გულდამძიმებული ისმენდენ მოხსენებებს და მოგონებებს, ამხ. ლენინი იჭრებოდა ყოველი მათგანის არსებაში, მათ სისხლსა და ხორცში, როგორც განსახიერებული სიკეთე და თავდადება. ამ სხდომებზე ყოველ მუშის და კეთილშობილი ადამიანის გული ენთებოდა ლენინის ცეცხლით იწოდა, იფერფლებოდა. როგორც ის,—ბუმბერაზი ადამიანი, ამ საღამოს ყოველმა მუშამ განვლო ლენინის გზა, განიცადა მისი წამება და დიდი სულისკვეთება. და უმთავრეს განცდის ზღვაში შეცურებული უამრავი ლენინელები სხდომის დარბაზებიდან გამოეფინენ ქუჩას ჩირაღდნებით გულში და ჩირაღდნებით ხელში...

ლენინის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი და სასახლის ქუჩა წარმოადგენდენ დანთებულ კოცონს.

მიდიან მწყობრად, მიდიან ნელა ლენინელთა უთვალავი რიგები დანთებული ჩირაღდნებით და დუმილით, რომელსაც არღვევს უსაზღვრო და მტირალი რექვიემ და სამგლოვიარო ჰიმნი.

არავის არ უნდა სიტყვა. ამ განცდასთან იგი ტლანქია და ანელებს უნაზესს გრძნობას, რომელიც შეწირულია ამხ. ლენინის ხსოვნისადმი.

კომუნიზმის ჯვაროსანთა რიგები ჩერდებიან სასახლესთან, სადაც ამართულია ამხ. ლენინი ამხანაგთა შორის.

მხოლოდ აქ ირღვევა სიჩუმე. ახალგაზრდა მებრძოლნი და უხუცესი ამხანაგები ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაჰკივიან ლოზუნგებს, რომლებშიაც მოცემულია ამხ. ლენინის სიბრძნე და წინასწარმეტყველება.

ეს უფრო აძლიერებს ექსტაზს და დანთებულ ცეცხლს. და რიგები შორდებიან სასახლეს ფიქრებით დატვირთულნი და ამ ქვეყნის საზღვარს გადასულნი.

27 იანვარი. დილა.

ტფილისი გამოცვლილია, გამოუცნობი.

იგი საგანგებოდ აგებულ ქალაქს ჰგავს.

ქუჩებს, მოედნებს და სასახლეებს დაუკარგავთ ჩვეულებრივი შეხედულება და იერი.

ქუჩებს მიჰყვებიან შავი სვეტები, როგორც მგლოვიარე ჭირისუფლები.

სვეტებს შორის გაბმულია პლაკატები, რომელზეაც შავი ასოებით წაწერილია აზრები, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში ალელვებდნ კაცობრიობას, აზრები, რომელნიც გამოხატავენ მშრომელი მასის კოლექტიურ ნებისყოფას, აზრები, რომელიც შექმნა და აღმოაჩინა უპირველესმა თანამედროვე მოაზროვნეთა და რევოლიუციონერთა შორის.

სასახლის ქუჩა და თავისუფლების მოედანი გრანდიოზული სასცენო ასპარეზია, რომელიც მოგვაგონებს ანტიურ ქვეყნების სატრიუმფო არენებს.

სასახლეების რუხი კედლები შემოსილია შავ-წითელი ფარჩეულით, რომელიც გაფენილია კედლებზე სიმეტრიული შეზომილებით.

მაღაზიების ვიტრინები შებურვილია შავად და შუაში ყველგან დაფენით შემკული სდგას დიდი კომუნარის ბიუსტი ან სურათი.

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა შენობების ფასადების ზედა კედლებზე ბრწყინავენ ელექტროს ვარსკვლავები და გერბები.

თავისუფლების მოედანზე აღმართულია შავი კოლონები, რომელნიც ჩამწკრივებული არიან სიმეტრიულად. მოედნის შუა ალაგას აგებულია დიდი თაღი, რომელიც შემოსილია წითლად და შავად.

თაღს ორ მხარეზე, მარჯვნივ და მარცხნივ აქვთ საფეხურები, რომლითაც თაღზე ასვლა შეიძლება. თაღს ამშვენებს ვარსკვლავი და [illegible] გერბი.

მთელი მოედანი მოკაზმული იშვიათ გემოვნებით.

აქ განდევნილია ყოველგვარი შაბლონი და ტრაფარეტი.

27 იანვარი ღრუბლიანი გათენ[illegible] ქუჩები დანამულია წვიმის წვეთ[illegible] ამინდი გლოვის შესაფერი [illegible]

დილის 8 საათიდან წარმო[illegible] დაწესებულებათა შენობ[illegible] მწკრივდებიან მუშ[illegible] მოს[illegible]

ყოველ ჯგუფ[illegible] წინ [illegible]ნინის სურათი [illegible] კული და გამშვენიერ[illegible] კუთხეში [illegible] სამგლოვიარ[illegible] ხმა ისმის.

მთელი ქალაქი [illegible] მის მწუხარე ხანგებში. [illegible] ნიშნად მკერდზე, ხო[illegible] ხელმძღვანელებს [illegible]

საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის მოწოდება

მთელი მშრომელი კაცობრიობისადმი

მოსკოვი. 27 იანვ. „ჩვენ ვასაფლავებთ ლენინს წავიდა ჩვენგან მუშათა რევოლიუციის საერთაშორისო გენია. მოკვდა ბუმბერაზი აზრის, ნებისყოფის და საქმის. ასეული მილიონი მუშები, გლეხები და კოლონიალური მონები დაიტირებენ მშრომელთა უდიდეს ბელადს. ისინი, ვინც მან გააერთიანა, წაიყვანა ბრძოლაში და თავისი გამოცდილი და რკინის ხელით გაატარა ყველა საშიშროებაში და დაბრკოლებაში, ასეულ-ათასობით იყრიან თავს მისი ცხედრის წინაშე. ქვეყნიერების ყველა კუთხეებიდან მოდიან მწუხარების, გლოვის და სიბრაზის ტალღები. მტრები, რომელთა წინააღმდეგ აწარმოებდა შეუდრეკელ ბრძოლას ანთებული რევოლიუციონერი, იძულებული არიან დახარონ თავისი დროშები.

ყველამ გაიგო, რომ ჩაესვენა კაცობრიობის ნათელი ვარსკვლავი. თავის კუბოდან ლენინი აღსდგა მთელი კაცობრიობის წინაშე მთელი თავისი გიგანტიური სიმაღლით. ახალ ეპოქის საზღვარზე, საუკუნოებში აღმართული იქნება ეს უზარმაზარი ფიგურა, რადგან ლენინი იყო და იქნება თავისი ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც კი კაცობრიობის ბელადი, ახალი ქვეყნის მოციქული, წინაწარმეტყველი და შემომქმედი. საუკუნოებიდან საუკუნოებში მიემართება ჩაგვრისა, მონობისა და ძალადობისაგან განთავისუფლებისაკენ მიმართულ დაუსრულებელ ცდების ძაფი. მაგრამ პირველათ საერთაშორისო ისტორიაში დაჩაგრული კლასები გამოვიდნენ ბრძოლის არენაზე და გაიმარჯვეს. პირველათ გაამტკიცეს მათ თავისი გამარჯვება პროლეტარულ დიქტატურის ფოლადის ჯავშანით. პირველათ იგრძნო ქალაქის პროლეტარმა, გლეხმა, ღარიბმა და მეფის კოლონიების დაჩაგრულმა მონამ თავისი თავი ახალი ცხოვრების ბატონ პატრონათ და თავისი ისტორიული ბედის გამომჭედათ. პირველად საკაცობრიო ისტორიაში მშრომელებმა დაინახეს თავისი საკუთარი ძალა.

დიახ, ისინი გაიმარჯვებენ! დიახ, მათ შეუძლიათ ააშენონ და ააშენებენ კიდეც შრომის სამეფოს, რომელზედაც ოცნებობდენ კაცობრიობის საუკეთესო და ყველაზე უფრო ნათელი პირები. ამ კაცობრიობის მამათ დიდიხანია უკვე წარმოდგენილი ყავთ აზიის დაჩაგრულ ხალხებს ლენინი. საყვარელ, გენიალურ ბელადათ სთვლის ლენინს ევროპის, ამერიკის და ჩვენი ქვეყნიერების უდიდესი კულტურული კონტინენტების პროლეტარიატი.

ამ უჩვეულო საერთაშორისო ისტორიულ კავშირში, ყველა დაჩაგრულების, დამონებულების და ყველა მშრომელების ამ საერთაშორისო კავშირშია ჩამარხული კაპიტალზე გამარჯვების საწინდარი.

რევოლიუციონურ ენერგიის გაუნელებელი ვულკანი იყო ლენინი, რომელშიაც სჩქეფდა რევოლიუციონურ ლელფის მთელი ზღვა. მან შეითვისა ძველი კულტურის საუკეთესო მხარეები, მას ხელში ჰქონდა მარქსისტული თეორიის საუცხოვო იარაღი; მას—გრგვინვის და ქარიშხალის ადამიანს, რევოლიუციონურ მიზანშეწონილების და გონიერების გრანიტის ნაპირებში შეჰყავდა მასების ძლიერი, ყველაფერის წამლეკავი სტიქია. მას ჰქონდა წინათგრძნობის უდიდესი ნიჭი. მან საუცხოვოთ იცოდა მასების დარაზმვა. ის ყველა ქვეყნების, ყველა დროის და ყველა ხალხების უდიდესი სარდალი იყო. ის იყო სარდალი ქვეყნიერების განმათავისუფლებელ ახალ კაცობრიობის.

ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინი ცოცხალია მრავალმილიონ გულში. ის სცოცხლობს ადამიანთა მასების უძლიერეს ტალღებში. ის სცოცხლობს კომუნისტურ პარტიების კოლექტიურ გონებაში. ის სცოცხლობს მუშათა დიქტატურაში, რომელიც შეურყეველ სიმაგრეთ სდგას ევროპის და აზიის საზღვრებზე. კვდება ძველი ქვეყანა. დაშლილი, დამახინჯებული და დასახიჩრებული წევს ძველი ევროპა, კაპიტალისტურ ცივილიზაციის დედა. საუკუნოებით მუშაობდა ევროპის კაპიტალი, ქმნიდა მუშების ხელებით ტეხნიკის სასწაულებს, დაეხეტებოდა მთელს ქვეყნიერებაზე და იმონებდა მრავალმილიონ ხალხს; მან თავისი რკინის ქუსლი დააჭირა მიწის ორივე ნახევარ სფეროს.

საუკუნოებით ამტკიცებდა ის ამ ქვეყნად გაუმაძღრობის, მოგების, სისხლის წუმპესი და ჩაგვრის სამეფოს, მაგრამ ის გაება თავის საკუთარ ბადეში, მან თავისი ტეხნიკა და მეცნიერება აქცია საშინელი თვითგანადგურების საშუალებათ, მან პირველი გიგანტიური ნაპრალი დააჩინა მსოფლიო ომს. შეირყა, შეინძრა და მზად არის დაინგრეს კაპიტალის ჯოჯოხეთური მანქანა. ჩაძირვას უქადის კაპიტალი მთელს ევროპას და მთელს მსოფლიოს, და მხოლოდ ერთ ძალას, დიადს, განმათავისუფლებელს შეუძლია მისი ხსნა,—ეს არის ძალა მშრომელი მასების, ეს არის ენერგია და ნებისყოფა მუშათა კლასის, რომელიც აკავშირებს ასეულ მილიონებს.

კაცობრიობის ამ ძირითად მასების წინამძღოლი იყო ლენინი. მას ჰქონდა ყველა გასაღები მუშების და გლეხების ყველაზე ჩამორჩენილ ნაწილის სულისთვისაც. ის სწვდებოდა კაცობრიობის ყველა ფენების სიღრმეს, ის აღვიძებდა მათ თვითშეგნებას, მათ კლასობრივ ინსტიქტს, მას გზაზე გამოჰყავდა ყველაზე უფრო მივიწყებულნი და ყველაზე უფრო ჩაგრულნი. ამ ქვეყნიერების წინაშე მან გადაისროლა ამხედრებულ მასებში უბრალო, ზედმიწევნით გაბედული ლოზუნგი „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს".

და ამ სასწაულმა იწყო განხორციელება. იზრდება და მტკიცდება ჩვენი სახელმწიფოების კავშირი. ახალი ცხოვრებისათვის ამხედრებული არიან ცხოვრების ქვედა პირიდან ახალი ადამიანები, უბრალო მუშები და მუშა ქალები, გლეხები და გლეხი ქალები. ისინი თანდათან უფრო მეტად, უფრო ხშირად და უფრო გაბედულად მიისწრაფიან სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ბერკეტისაკენ და ნელ-ნელა სცვლიან ძველს, დამპალს და უვარგისს. სისხლის მღვრელ ბრძოლების შემდეგ ფეხზე დგება ჩვენი ქვეყანა, იზრდება შრომის სამეფო, სამეფო მუშებისა და გლეხების.

ლენინის სახით ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ხომალდის მთავარი კაპიტანი. ეს დანაკლისი აუნაზღაურებელია, ვინაიდან მთელს მსოფლიოში არ იყო ასეთი ნათელი ნიჭი, ასეთი დიდი გამოცდილება, ასეთი შეურყეველი ნებისყოფა, როგორიც ჰქონდა ლენინს. მაგრამ ჩვენ უშიშრად ვუცქერით მომავალს. დიდი დახელოვნებით გაატარა ლენინმა ჩვენი სახელმწიფო ყველაზე საშინელ განსაცდელთა შორის. საქმე მტკიცეთ არის დაყენებული სწორ გზაზე. ვლადიმერ ილიჩის ათეულ ათას მოწაფეს მაგრად უჭირავს ხელში დიადი დროშა. მილიონები თავს იყრიან მის გარშემო. თვით თავისი ფიზიკური სიკვდილითაც ლენინი იძლევა თავის უკანასკნელ ბრძანებას: „**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით**"!

ამხანაგებო, ძმებო! ახწიეთ მაღლა ჩვენი წითელი დროშები!

არ დაუშვათ მერყეობა ჩვენს დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში!

პროლეტარები არაფერს დაჰკარგავენ გარდა ხუნდებისა, მოიპოვებენ კი მთელს მსოფლიოს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის საბჭოთა მეორე ყრილობის თავმჯდომარე: **კალინინი.**

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის საბჭოთა მეორე ყრილობის მდივანი: **ენუქიძე.**

ვებზე გაკეთებული აქვთ შავ-წითელი ბანტები.

დილის 10 საათზე ლენინის ქ. რუსთაველის პროსპექტზე სასახლის ქუჩამდე გაჭედილია სამგლოვიარო პროცესიები მუშა-მოსამსახურეთა, რომელთა მარჯვენა და მარცხენა მხარეზე ჩამწკრივებულან წითელარმიელები. ტროტუარები სავსეა მოქალაქეებით, რომელნიც განცვიფრებული შესცქერიან ამ ზღვა ხალხს.

11 ნახ. საათზე ს. კ. პ. ცეკაში მიდის დელეგაცია, რომელშიაც ყურადღებას იპყრობენ გლეხების წარმომადგენელნი.

პასუხისმგებელი ამხანაგები მიიმართებიან სასახლისაკენ, სადაც ესვენა ამხ. ლენინის დიდი სურათი. აქ სიტყვას ამბობენ ამხ. მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და სხვები.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

დიდი საბჭოთა, მუშურ-გლეხურ ქვეყნის, სოციალისტურ რესპუბლიკების, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და საბჭოთა საქართველოს ამხანაგო მუშებო, გლეხებო, წითელარმიელებო, წითელო მატროსებო და პატიოსანო მოქალაქენო,—მე თქვენ მოგმართავთ დიდი ჩვენი ბელადის ამ სურათის წინ ჩვენთვის უმძიმეს მომენტში, როცა ის ჩვენ გაგვშორდა, ის აღარ არის და აღარ იქნება, („ფიზიკურად") ჩვენ შორის... მე, რა თქმა უნდა, ვერ დაგავალებთ თქვენ იტიროთ, ღვაროთ ცრემლები და მორწყოთ მითი მიწა, ალავსოთ ქვეყანა ქვითინით აუნაზღაურებელ დანაკარგის გამო. ჩვენ საკმაოთ დარაზმული და დისციპლინის მქონე ვართ, რომ ასეთ მომენტში, თუნდაც ასეთ გამონაკლის და უდიდეს მწუხარების მომენტებში—არ შეგვეძლოს არა პირად, არამედ კოლექტიურ, საერთო საკაცობრიო მწუხარების სტიქიაც დაუმორჩილოთ კომუნისტ-რევოლიუციონერის, ჭეშმარიტ-მარქსისტის ლენინის მიმდევარის ნებისყოფას და გონებას...

დიახ, ჩვენ ამას შევსძლებთ და სრულიადაც არ დაგვჭირდება დავფაროთ ჩვენი უდიდესი დანაკლისი, როგორც ბუნების სტიქიური „უბედურება",—იაპონიის მიწის ძვრის მზგავსად და კიდევ მეტი... დიახ, საბჭოთა ქვეყნის ძვირფასო ამხანაგებო და ყველა პატიოსანო გულწრფელო მოქალაქენო,—ჩვენ ამას გადავიტანთ, და ვსძლევთ მთელ მწუხარებას, აი, თუნდაც, სწორეთ ასეთ მსოფლიოსათვის უჩვეულო დიად საყოველთაო სახალხო გამოსვლებში, სადაც ჩვენ უწევთ ჩვენ თავს ანგარიშს მძიმე დანაკარგში, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ვაცნობთ ერთმანეთს მის გენიალურ ბელადს, მის მოძღვრებას — ლენინიზმს, — ხაზს უსვამთ ახალგაზრდობას და მოზრდილთა მიერ მისი შესწავლის აუცილებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის აღარ არის და არც იქნება ჩვენს შორის, ის, რომელიც კრიტიკულ მომენტებში ჩვენთვის აზროვნებდა და შეუცდომლად მიჰყავდა პარტიული და სახელმწიფოებრივი [illegible]მი სწორ და მიზანშეწონილ [illegible]ერით მღელვარე ოკეანეში [illegible] კაპიტალს შორის თანა[illegible]ლიდეს, სამხედრო-სასიცოცხლო [illegible] უკანასკნელ გადამწყვეტ [illegible]როლის.

[illegible] მეგობრებო,—[illegible] [illegible]ლების დიდი მეგობრის [illegible] წინამძღოლის ხაზს—შევუდგეთ მას [illegible] ჩვენ დღე და ღამე, ძილის წინ, სიფხიზლეში და ძილშიაც მთელი მისი მრავალფეროვანი ბუნებით, რომელმაც არ იცოდა 3 წლის განმავლობაში პირადი ცხოვრება კოლექტიურს ცხოვრების გარეშე, კოლექტივის, რომელიც პირველად შესდგებოდა რამდენიმე ამხანაგ-მეგობრისაგან, ეხლა გავრცელდა მთელ მსოფლიოში, მშრომელთა და ჩაგრულთა შორის.

ნუ დაივიწყებთ, რომ ასეთი დაუღალავი, თითქმის ზეადამიანური შრომით მან შექმნა რუს. კომპარტია და კომინტერნი, გამოსჭედა, როგორც „სასწაულთმოქმედმა მჭედელმა" საბჭოთა ძალა-უფლება, მუშების და გლეხების ძალაუფლება და გვიანდერძა ჩვენ არასოდეს და არსად არ დავივიწყოთ ჩვენი პოლიტიკის მთავარი ხაზი—**ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელთა შორის ძლევამოსილი კავშირი პროლეტარიატის რკინის დიქტატურის დროს**... და ჩვენ მსოფლიოს მასშტაბით საბოლოოდ „**ამით გავიმარჯვებთ**"...

გაუმარჯოს ძვირფასო მოქალაქენო და ამხანაგებო, ამ **გამარჯვებას**!

გაუმარჯოს, ყოველთვის ჩვენ შორის ლენინს და ჩვენ დიდ **ილიჩს**—პროლეტარულ რევოლიუციის და მებრძოლ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის **წინამძღოლს და დროშას**!

გაუმარჯოს ლენინის რევოლიუციონურ მარქსიზმს—**ლენინიზმს**!

დავხაროთ თავი და დროშები დაუვიწყარ ვლადიმერ ილიჩის ულიანოვის—ლენინის სურათის წინ!

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა.

მშრომელო ხალხო, ხალხნო და ჯამაათნო, მუშებო და გლეხებო! ყველა ქვეყნის და ეროვნების ღარიბ-ღატაკნო! იგლოვეთ და იმწუხრეთ! ჩვენ დღეს მიწას უნდა მივაბაროთ დიდი ლენინი. კაცობრიობას ყავდა ბევრი დიდბუნებოვანი პიროვნებანი, ბევრი ნიჭიერი და გენიოსი ადამიანები. მაგრამ უმეტესობა იმათგანი თავის ნიჭს ხმარობდა ხალხის წინააღმდეგ, ხოლო დანარჩენები სიტყვით თუ მოიხსენიებდენ ხალხს, თორემ საქმით კი ისინიც ღალატობდენ მას. სულ სხვა იყო ლენინი. მან მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი ცოდნა, სწავლა და გამოცდილება მოახმარა მარტოთ მარტო მშრომელ ხალხს, მან მთელი თავისი სიცოცხლე დაუდვა მთლათ მშრომელთა მასებს.

მისი წინამძღოლობით მშრომელმა ხალხმა დაამხო მემამულეები და კაპიტალისტების წესწყობილება და თავის საკუთარ ხელში აიღო სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმე. მისი წინამძღოლობით მუშები და მუშათა სახელმწიფო დაეპატრონენ ფაბრიკა-ქარხნებს და გამორეკეს იქიდან კაპიტალისტები, მისი ხელმძღვანელობით გლეხები დაეუფლენ ყველა მიწებს და გააძევეს იქიდან მემამულეები და მყვლეფელები. მისი მეთაურობით და ხელმძღვანელობით მუშებმა და გლეხებმა შექმნეს დიდებული და ძლიერი მუშათა და გლეხთა წითელი ჯარი. მისი წინამძღოლობით მუშათა კლასი სამი წლის განმავლობაში იბრძოდა და ეკვეთებოდა შინაურ და გარეულ მტრებს, რომლებიც ლამობდენ მუშათა ხელისუფლების დამხობას. და თუ მუშათა კლასი ამ უსასტიკეს ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა, ამას იგი თითქმის სავსებით ლენინის ნიჭს, მის გენიოსობას და მის დაუღალავ [illegible]რომას უნდა უმადლოდეს.

მაგრამ ლენინის გავლენა არ განისაზღვრება რუსეთის ფარგლებით. მან ხელი შეუწყო რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებას ყოველგან. მან შესძლო პირველათ კაცობრიობის ისტორიაში აღმოსავლეთის დაჩაგრული და დამონებული ხალხთა გამოფხიზლება, ცნობიერებაში მოყვანა და ამოძრავება თავიანთი მჩაგვრელების და დამმონავებლების წინააღმდეგ, და არ არის დღეს დედამიწის ზურგზე ისეთი დაჩაგრული ხალხი, რაოდენ ის მცირე და უმნიშვნელო არ უნდა იყოს, რომელსაც მარტო ლენინის სახელის გაგონებაც კი არ აღელვებდეს და აღტაცებაში არ მოყავდეს.

ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე სულ ერთიანათ ხალხის სამსახურს მოანდომა. და აი, სწორედ ამ აუტანელი შრომის ქვეშ იგი დაეცა. მაგრამ სამაგიეროთ მან ჩვენ დაგვიტოვა უკვდავი საქმეები და შესასრულებელი ანდერძი.

მუშებო და გლეხებო! კარგათ გახსოვდეთ ლენინის ანდერძი. დასდევით მტკიცე, შეურყეველი, წმინდა ფიცი, რომ თქვენ არ უღალატებთ ლენინის ანდერძს, რომ თქვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავთ, რაც თქვენ ლენინის ხელმძღვანელობით მოპოვებული გაქვთ, არ დაუბრუნებთ უკან ქარხანა ფაბრიკებს კაპიტალისტებს და მიწებს—მემამულეებს. ახლა კი მუხლი მოვიხაროთ წმიდა საფლავის წინაშე.

გლეხი სეფე მახარაძის სიტყვა.

გურული გლეხი სეფე მახარაძე აცნობს გლეხური მასის იმ სულიერ მღელვარებას, რომელიც გამოიწვია ამხ. ლენინის სიკვდილმა. ჩვენი გლეხობა უკვე აფასებს მის ფასდაუდებელ ღვაწლს, რომელსაც ვერ შეედრება ვერც ერთი წარსულ საზოგადო მოღვაწის დამსახურება. ამხ. ლენინი, რომელმაც პირველად გადაისროლა მუშათა და გლეხთა კავშირის აუცილებლობა, თვით წარმოადგენს ისეთ პიროვნებას. რომლის პატივისცემა აერთიანებს მუშებს გლეხებთან. მისი სიკვდილი კიდევ უფრო განამტკიცებს გლეხობის მისადმი და ქალაქის მუშათა ძმისადმი სიყვარულს და ძმურს დამოკიდებულებას.

ამხ. სეფე მახარაძის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს კიდევ რამდენიმე ამხანაგებმა. სასახლიდან ლენინის სურათს მიასვენებდენ თავისუფლების მოედანზე, სადაც მას აღმართავენ. თაღს ზევით. მის მარჯვნივ და მარცხნივ სდგას საპატიო ყარაული. იქვე სდგას ტრიბუნა, სადაც გაისმის მწყობრად მიმავალ პროცესიის წინაშე წარმოთქმული ლოზუნგები. აქ არ ლაპარაკობენ ცალკე ამხანაგები, ცალკე პირები, აქ ლაპარაკობს მთელი პარტია, ერთი აზრის და ერთი ნებისყოფის გამომხატველი.

რიგები მოდიან და მოდიან დაუსრულებლად, დაუსრულებლად გაისმის მისი მოწოდების ხმები, რომელიც ამხნევებს გულს და აკაჟებს მშრომელთა ნებისყოფას.

ყველა გულისძგერით მოელის 4 საათს.

ზარი რეკავს 4 საათს და ისმის სალიუტის ხმა.

ამ წუთს არა მარტო სულიერად, არამედ ფიზიკურად შეერთდენ მილიონთა გულები, მილიონთა თავები, რომელნიც ფიქრობენ მხოლოდ ერთს: ამ წუთში საფლავში ასვენებენ რევოლიუციის აზრს, სინდისსა და ნებისყოფას.

პროცესია მდუმარეთ იჩოქებს და მწუხარე გრძნობით ისმენს რექვიემს.

დასრულდა სალიუტი და მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს,—ამ აქტში გამოიხატა მშრომელთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ნება და ხასიათი.

მან იცის გლოვა, მაგრამ მხნეთ და მედგრად მოელის მომავალ ბრძოლებს.

გლოვა ტიტანზე

ოც და შვიდი იანვარი იყო უკანასკნელი დღე გიგანტურის ზმანებისა.

კალამი ბლაგვია მის გადმოსაცემად.

პროჟექტორის ლენტი უფერულია მის დასახატავად.

ადამიანი თვითონ უნდა ყოფილიყო მოწმე ამ დღეებისა ტფილისში და მხოლოდ მაშინ წარმოიდგენდა ნამდვილ სიდიადეს პირველ-ყოფილის სიძლიერით და თანამედროვე მსწრაფლ მიმდენი ფერადოვნებით.

გაზაფხულის საკადრისი ამინდი კვირა დილით სევდის ფერად მობურულიყო. არც შემდეგ განუფანტია მოთალხული ღრუბლები, მაგრამ არც ხელი შეუშლია კოლოსალურ გლოვისათვის.

პირიქით, ეს დღეც საგანგებოთ იყო ხელშემწყობი იმ დიად სულიერ განცდისა, რაც წარმოშვა ბუმბერაზ ადამიანის,

ლენინის სიკვდილმა.

მთელი კვირის განმავლობაში გამოცვლილი ქალაქი ამ დღეს სულ ერთიან გადაგვარდა.

ტრამვაი არსად სჩანს.

ეტლის ჭაჭანება არ არის.

არც ერთი ღია დუქანი ორთაჭალიდან საბურთალომდის.

დილის ცხრა საათიდანვე დარაზმულია მთელი ქალაქი.

სასახლის ქუჩიდან იწყება [illegible] უთვალავი რაზმები:

ფაბრიკები, ქარხნები, პროფკავშირები, დაწესებულებანი, სასწავლებლები, ჯარები. და თავდება ერთი პირი ვაკესკენ. მეორე კი მუშტაიდისკენ.

ყველა შავ-ფიქრ შემოვლებულ წითელი დროშებით, ამ დღისათვის საგანგებო წარწერებით, მუსიკით...

ამოდენა ზღვა ხალხი გიკვირს სად ეტევა ჩვეულებრივად ამ ქალაქში.

მთელი მცხოვრებნი დედა-ბუდიანათ კარშია გამოფენილი.

ხმა-მაღალი ლაპარაკიც კი აღარსად ისმის, ყველა მოკრძალებულია. ყველა გრძნობს,

რომ სრულდება რაღაც უდიდესი საიდუმლოება დღევანდელ დღეს.

* * *

ყველგან გესმის ლენინის სახელი.

ყველგან კითხულობ ლენინის სახელს.

ყველგან ჰხედავ ლენინის სახეს: (სურათს ან ქანდაკებას).

და თანაც გრძნობ, რომ ამავე დროს ყველგან, ყველანი ფიქრობენ ლენინზე და ყველანი შენთან არიან, შენც ყველასთან ხარ.

სამგლოვიარო გუგუნი მუსიკისა შეუწყვეტლივ მოისმის თითქოს ქვეყნიერიდან, თითქოს ხალხის გულიდან ყველგან, რაზმსა და რაზმს შორის.

შავი და წითელ ფერი,

გლოვისა და ბრძოლის ფერი [illegible]მანით ჩაჭიდებიან თანასწორად და [illegible] გადმოშვებულან ლამაზ ლამაზ სასახლეებზე.

[illegible] დამცველი მეგრია.

მაგრამ წესრიგის დამცველი თვითონ ხალხია.

თავისუფლების მოედანს უბდება საგანგებოთ აგებული მძიმე თაღი, შავი ფერებით რომ მიწას ამძიმებს და წითლით კი ცას ეპოტინება.

საათი საათს მისდევს.

და ყველა მოუთმენლად ელის იმ წუთს.

ეს იქნება სრულ ოთხ საათზე.

და აჰა, იქუხა ზარბაზანმა!

დადგა ის წუთიც, რომლის სახელი ჯერ ისტორიაში არ იპოვება.

დადგა ის წუთი, რომელსაც ასეთივე ფატალურის აუცილებლობით და უცნაურის მოწიწებით ელის მთელი საბჭოთა კავშირის მოქალაქენი და მთელი კაცობრიობაც.

და გარემოში დატრიალდა რაღაც საშინელი, სამგლოვიარო, ბუმბერაზული.

მოსთქვამენ შეჩერებული მატარებლები, დაუქმებულ ქარხნებისა და ფაბრიკების საყვირები.

ჰგმინავენ ზარბაზნები მამა-დავითის მთაზე და ჰგოდებენ ისევე ზანზარით არსენალის კალთებზე.

სასახლის ქუჩიდან მუშტაიდამდის გაისმის სამგლოვიარო მუსიკის გოდება.

მთელი ხალხი ქუდს იხდის.

და ამავე დროს ადამიანის თვალწინ ცოცხლად გადაიშალა კოლოსალური სურათი საკაცობრიო სინამდვილისა:

სწორედ ამ წუთას მთელ საბჭოთა ქვეყნებში გაისმოდა ასეთივე გლოვა და გოდება ორთქლისა და ფოლადისა.

ასეთივე მოთქმა მუსიკისა.

ას ორმოცი მილიონი მცხოვრები ასევე იდრეკს ჩაფიქრებულ თავს ამ წუთის წინაშე.

იქ, მოსკოვში კი პირველად გადასდგამენ ნაბიჯს, რომ შეარყიონ მიწა —კაცობრიობის შემარყეველით.

არც ერთ რადიოს არ ძალუძს ასეთის სისწრაფითა და სისწორით გამოსცეს ყველაფერი, რაც ხდება იმ დროს ბერეზინიდან ვლადივოსტოკამდის, ვიდრე ეს შესძლო ადამიანის წარმოდგენამ.

მსოფლიო ისტორიაში, ადამიანის არსებობაში ეს პირველი მაგალითია, როცა კაცმა ცხადათ და დარწმუნებით იცის, რომ დედამიწის მეექვსედ ნაწილზე განსაზღვრულ წუთს სწორედ იგივე ხდება, სადაც შენ თვალით უცქერი შენს ირგვლივ.

ეს გიგანტური მიღწევაა ადამიანის სულისა.

ტიტანის სიკვდილმა წარმოშვა ასეთი ტიტანიური გამოცოცხლება ხალხისა.

* * *

საღამოზეც მოწყენილია ტფილისი.

ცამ ვეღარ აიტანა ზოლმა ღრუბლებისა და მიწას უზიარებს თავის სევდას.

ხალხი მაინც დადის;

დაეძებს ლენინის სახელს,

ლენინის სახეს.

ციდან მოწყვეტილი ანთებული ლალის ბურთი ალმასკომის კოშკის მწვერვალზე ელვარებს

და თავისი სილამაზით არცხვენს სიბნელეს.

ჩავიხედე დღევანდელი დღის სიღრმეში და—

ლალის ფერი ლენინი თავისი სიძლიერით ებრძვის სიბნელეს,

სიკვდილის შემდეგაც...

ტფილისმა ღირსეულად იგლოვა მსოფლიოს ბელადი მთელ მსოფლიოსთან.

დ.

დამწუხრებული ტფილისი

(შთაბეჭდილებანი)

შაბათს, 26 იანვარს, დღის 12 საათზე ქარხნების საყვირებმა ამცნეს ქალაქს მუშაობის შეწყვეტა.

ერთბაშათ დაიკეტა ყველა მაღაზიები და შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა ქალაქში.

მშვენიერი მზიანი დარი სდგას. ხალხი ქუჩებზეა გამოფენილი. მთელ ქალაქს არაჩვეულებრივი ელფერი აქვს. წითელი დროშები შავ არშიებში ჩასმული უჩვეულო სევდით ღრღნის გულს.

ქუჩებზე განუწყვეტლივ მიდი-მოდიან მუშები ჯგუფ-ჯგუფებათ, დახრილი დროშებით და დაღვრემილი სახეებით.

დიდია მათი სევდა და მწუხარება. საღამოს მუშები თავს იყრიან თავიანთ რაიონებში და იქიდან ჩირაღდნებით ხელში მოეშურებიან რუსთაველის პროსპექტით სასახლისკენ.

გრანდიოზულია ეს სანახაობა. ბნელ ღამით მოცულ ქუჩებში ანთებული ჩირაღდნების ეს დაუსრულებელი ლენტი ზღაპრულ ფერვერკს წარმოადგენს.

და მოდიან ეს ჩუმი მებრძოლები, ახალი ქვეყნის მოციქულები დახრილი შავწითელი დროშებით, განსვენებულ ბელადის დადაფნილი პორტრეტებით და დახრილი დაღვრემილი სახეებით, რომ ჩაუარონ სასახლის წინ აღმართულ ბელადის სურათს, — იმ ბელადის, რომელიც მათი სიყვარულით იწვოდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

სევდიან ჰაერს კიდევ უფრო ამძიმებს „თქვენ მსხვერპლი გახდით საბედისწერო ბრძოლაში"-ს გულის მღრნელი ჰანგები.

საერთო მწუხარებას აღრმავებს ორკესტრის სამგლოვიარო ჰიმნი.

განუსაზღვრელია ტფილისის პროლეტარიატის სიყვარული დაკარგულ ბელადისადმი.

მას არ შეუძლია ამოსწუროს თავისი გლოვა და მწუხარება.

ხვალ წითელ მოსკოვში მიწას მიაბარებენ საყვარელ ილიჩის საუკუნოთ გაციებულ გვამს.

* * *

27 იანვარს პირშეკრული დილა გათენდა.

თითქოს ბუნებასაც უგრძვნია ილიჩთან უკანასკნელ გამოთხოვების უდიდესი ტანჯვა და მწუხარებით გამოიყურება.

მზეც ამ დღეს სადღაც მიმალულა და ტყვიისფერ ღრუბლებისთვის დაუთმია ცის ეთერი.

ქალაქი დილა-ადრიანათ იღვიძებს, მაგრამ მას არ ეტყობა ჩვეულებრივი ფუსფუსი და სიცოცხლე.

ყველას სახეზე სევდაა აღბეჭდილი, დიდი სევდა საყვარელ მასწავლებელთან უკანასკნელ გამომშვიდობებით გამოწვეული.

მიუხედავათ სიცივისა, დილიდანვე აუარებელი ხალხი აწყდება ქუჩებს.

11 საათიდან რუსთაველის პროსპექტის ფართო ქვაფენილები ვეღარ იტევენ მოზღვავებულ ხალხს.

მაგრამ მილიციელები ყურადღებას არ აქცევენ დემონსტრაციის გარეთ დარჩენილ მოქალაქეებს და მტკიცეთ იცავენ მათგან სასახლესთან და თავისუფლების მოედანთან მისავალ კარებს.

დილიდანვე ქალაქს თავს დასტრიალებენ ფოლადის მფრინველები.

ისინი გუგუნით არღვევენ შეკუმშულ ჰაერს და ფურცელთა გროვას ყრიან მაღლიდან.

თანახმად ცენტრალურ კომისიის მიერ შემუშავებულ წესრიგისა, მუშა-მოსამსახურენი თავს იყრიან სათანადო რაიონებში და იქიდან მოემართებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისკენ.

11 საათზე ცეკას წინ მწკრივდებიან სხვადასხვა წარმოებების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი და წითელარმიელთა ნაწილები.

დემონსტრაციაში განირჩევიან გლეხთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები:

აქ არიან დელეგატები კახეთიდან, ბორჩალოდან და ტფილისის ახლო რაიონებიდან. არიან მეცხვარეებიც.

გლეხები ჩამოსული არიან ცელებით, ნამგლებით, თოხებით, ფიწალით და ნაჯახებით.

ისინი მოვიდენ სოფლიდან, რომ უკანასკნელი პატივი სცენ იმ ადამიანის ხსოვნას, რომელიც ყველაზე უფრო მწვავეთ გრძნობდა მათ საჭიროებებს და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით იწოდა. „ზაკროსტა"-ს აივანზე მოწყობილია რადიო აპარატი. საიდანაც ქუჩაზე თავმოყრილ აუარებელ ხალხს ეფინება სამგლოვიარო სიტყვები.

წაკითხული იქნა ლენინის დაკარგვით ყველაზე უფრო დამწუხრებულის, მისი მეუღლე და მეგობარის კრუპსკაიას სიტყვა, მოსკოვიდან დეპეშით მიღებული.

მიკროფონის საშუალებით სიტყვას ეუბნება თავმოყრილ გლეხებს აგრედვე გაზ. „კომუნისტი"-ს წარმომადგენელი ამხ. ი. ბუაჩიძე.

ახლოვდება ოთხი საათი. ცა კიდევ უფრო იკუმშება. ბუნებაც ვერ უძლებს დიდებულ ბელადის საუკუნო განშორებას და წვრილ წინწკლებით თითქოს ცრემლს აფრქვევს მის სამუდამოთ გაციებულ გვამს.

3 საათზე პროცესია დაიძრა რუსთაველის პროსპექტიდან თავისუფლების მოედნისაკენ.

თავისუფლების მოედანზე აღმართულია უზარმაზარი სამგლოვიარო არკა, რომლის მწვერვალზე დადგმულია ლენინის დიდი სურათი. მას გვირგვინათ ადგას წითელი ხუთთვალა ვარსკვლავი

დიდებულ მოძღვარს ყარაულობენ ერთის მხრივ მუშა და მეორეს მხრივ წითელი მებრძოლი—ჯარისკაცი.

პროცესია ჩაუვლის გვერდით იქვე აშენებულ ტრიბუნას, საიდანაც მას მოკლე სიტყვებით ხვდებიან ორატორები, გაივლის არკის ქვეშ და შემდეგ მიემართება თავთავის რაიონებისაკენ და იშლება.

— ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი საქმე არ მომკვდარა, მას გააგრძელებს კომპარტია.

— ლენინმა გვიანდერძა საერთაშორისო ბურჟუაზიის მოსპობა; განვაგრძოთ მისი საქმე და გამარჯვებით დავასრულოთ ის.

— ლენინმა დაგვიტოვა ანდერძათ განუსაზღვრელი სიყვარული მშრომელი ხალხისადმი.

— ლენინის მოძღვრება მჭრელი იარაღია მშრომელი ხალხის ხელში.

— ლენინი ბელადი იყო არა მარტო მუშათა კლასის, არამედ ყველა ქვეყნის დაჩაგრულ ხალხების.

— ლენინი მოკვდა, მაგრამ მან დაგვიტოვა მილიონი ლენინელები კომუნისტური პარტია.

— ლენინი მოკვდა და ამის შემდეგ აუტყდებათ ენის ქავილი ბურჟუაზიულ მთავრობებს; შემოვკრბეთ მჭიდროთ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, რომ შევასრულოთ ლენინის დიადი მიზნები,—ისმოდა ორატორების მოკვეთილი სიტყვები.

ლენინი მაღლიდან დასცქეროდა პროცესიას, თითქოს ის უკანასკნელად ათვალიერებდა თავის უთვალავ არმიას, რომ დამშვიდებული ჩასულიყო საფლავში იმ იმედით, რომ მის მიერ დაწყებული საქმეს გააგრძელებენ მისებრ გაკაჟებული და შეუდრეკელი მებრძოლები, რომელნიც ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინებენ მის ლამაზ აღთქმებს.

მუშების პროცესიას უკან მოყვებიან წითელარმიელთა ნაწილები ლენინის დიდი სურათით ხელში და დახრილი დროშებით.

ჯარის ნაწილებს მოყვებიან ისევ მუშები, მოწაფეები და ასე დაუსრულებლივ.

სრულ 4 საათზე ისმის პირველი სალიუტი ზარბაზნებიდან.

აი ამ წუთში იქ, წითელ მოსკოვში, თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში სამარეში ჩაუშვეს ილიჩის გაციებული გვამი.

ორი შეერთებული ორკესტრი ფეხს იყრის და უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს. ხალხიც ფეხმოყრილი, ისმენს უკანასკნელ გამოსათხოვარ სიმფონიას. მოისმის საყვირების გამუდმებული გუგუნი და ზარბაზნების ქუხილი.

ზარბაზნების და ტყვიისმფრქვევლების ქარცეცხლში მოუპოვა ლენინმა მშრომელ ხალხს ძალაუფლება და ზარბაზნების გრიალი აცილებს მას საუკუნო განსვენების ადგილას.

სამგლოვიარო ჰიმნის შემდეგ ორკესტრი ფეხზე სდგება და უკრავს „ინტერნაციონალს".

შეიძლება, არასოდეს არ ყოფილა „ინტერნაციონალი" ისეთი მღელვარე, ისეთი ბრძოლის ცეცხლის დამნთები, როგორც იმ წუთს.

ამ დროს „ინტერნაციონალში" გამოსჭვიოდა პროლეტარიატის ურყევი სურვილი და ნებისყოფა განაგრძოს ლენინის მიერ დაწყებული საქმე და საბოლოო გამარჯვებამდი მიიყვანოს იგი.

განსვენებულ ბელადის გვამის სამარეში ჩაშვების შემდეგ ეს სურვილი და ნებისყოფა კიდევ უფრო გაკაჟდა და კლდეთ იქცა.

პროცესიის ბოლო ექვს საათზე აღწევს მხოლოდ თავისუფლების მოედანს.

ხალხის დენა ქუჩებში არ სწყდება. მართალია ლენინი მოკვდა ხორციელათ, მაგრამ მისი უკვდავი სული მუდამ ჩვენთან იქნება და გზას გაუნათებს პროლეტარიატს შრომის სამეფოსაკენ.

ასეთია ურყევი ნება ტფილისის პროლეტარიატის.

საღამოს დამწუხრებული ბუნება ვეღარ იტანს მწუხარებას და ცრემლით ილვენთება. ჟონავს წვიმა.

სიბნელეში გახვეული ქალაქი კიდევ უფრო ეხვევა ტრაურში.

როგორ იგლოვა ტფილისმა ილიჩის დასაფლავება

27 იანვარი, კვირა, არაჩვეულებრივი და დიდი გლოვის დღეა მსოფლიო მშრომელთათვის. ამ დღეს მარადისობას ჩავაბარეთ პროლეტარიატის ბელადი, დიდი გენიოსი და მოაზროვნე ამხ. ლენინი.

თითქო ბუნებაც სწუხდა, გლოვობდა ამხ. ლენინის უდროოთ სიკვდილს, გრძნობდა თავის შეცდომას მრავალტანჯულ მშრომელთა წინაშე ამხ. ლენინის ბრძოლის ასპარეზიდან მოხსნის გამო.

მთელი ტფილისის მუშა-მოსამსახურენი, წითელ-არმიელები იდგნენ მათთვის წინასწარ დანიშნულ რაიონებში; ჩამოსული იყვნენ ტფილისის ახლო მდებარე სოფლეს გლეხები, ქალები, ბავშვები; ისინი ქვითინებდენ, სტიროდნენ, გრძნობდენ დიდს უბედურებას ამხ. ლენინის დაკარგვისა გამო.

მთელი ეს ზღვა ხალხი, რომლითაც სავსე იყო ტფილისის ქუჩები, განსაკუთრებით პლეხანოვის და რუსთაველის პროსპექტი, მგლოვიარენი, უსიტყვონი, ან მწუხარე მოგონებებით მოსაუბრენი, იდგნენ თავიანთ ადგილზე და გულისფანცქალით მოელოდენ იმ უდიდეს წუთებს, როდესაც მოსკოველი ამხანაგები მიაბარებდენ მარადისობას უდიდესი გენიოსის ცხედარს.

ქუჩები, დაწესებულებები მოფენილი იყო ამხ. ლენინის სურათებით წითელ არშიებში და შავ-წითელი არშიებით, დროშებით და პლაკატებით.

[illegible] მუშა-მოსამსახურეთა, წითელარმიელთა და სოფლიდან ჩამოსულ გლეხების პროცესიები მიემართებოდნენ პლეხანოვის, „კირკის" და რუსთაველის პროსპექტებით სასახლის მიმართულებით. მათ მიუძღოდათ წინ სამგლოვიარო არშიებით დროშები, ამხ. ლენინის სურათები, მომღერალი გუნდები და ორკესტრები — „შენ მსხვერპლი გახდი"-ს ჰიმნით.

სასახლის წინ შეგვხვდნენ ამხანაგები, რომლებიც გვეუბნებოდნენ სამგლოვიარო სიტყვებს. მათ ეძნელებოდათ სიტყვების თქმა, ენა ებმებოდათ დიდი სევდის და გლოვის გამო.

აჰა, შესრულდა ოთხი საათი. დაიწყეს ზარბაზნებმა გრიალი. ქარხნების და ფაბრიკების საყვირებმა და ორთქლმავლებმა გულშემზარავი ხმით ტირილი, კვილი. ეს იყო საშინელი წუთები, როდესაც სამარეში უნდა ჩაეშვათ ძვირფასი მასწავლებლის, უკვდავ ლენინის, ნეშთი. ამ მომენტში როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე ტფილისში შეწყდა ხუთი წუთით მოძრაობა, ყველაფერი ერთ წერტილზე გაყუნა, გაქვავდა და ეს მომენტი იმდენათ მწარე იყო, რომ მშრომელი ხალხი ცხარე ცრემლებს ღვრიდა. გათავდა ხუთი წუთი და პროცესია უფრო გულჩათხრობილი, სევდიანი მიემართებოდა თავისუფლების მოედნისკენ. თავისუფლების მოედანზე აღმართული იყო მრავალი ბოძი, შავი ძაძით მოსილი. შუა მოედანზე აღმართული იყო „ვიოდუქტი" იქით-აქეთ კიბეებით წითელ და შავი სამგლოვიარო მატერიით მოსილი, რომლის თავზე იყო ამხ. ლენინის დიდი ფიგურა ორი საპატიო დარაჯით. კიბეები სავსე იყო დროშებით. სამგლოვიარო პროცესია გადიოდა არკას ქვეშ [illegible] უკრავდა [illegible] ლენინის [illegible] სხვათა შორის სიმებიანი ორკესტრი სამგლოვიარო მარშს. ამხანაგები მომავალ პროცესიებს ეუბნებოდნენ სამგლოვიარო სიტყვებს [illegible]დენ, რომ ლენინი მოკვდა, მაგრამ უკვდავია ლენინიზმი.

მუშკორი ათანასე გოგიაშვილი.

აჭარაში

ტრაური ქალაქში.

ბათომი. 27 იანვ. 27 იანვარს ქალაქს დილიდანვე გამოცოცხლება ეტყობა. დილის 10 საათზე ლენინის ძეგლთან არაჩვეულებრივ მრავალრიცხოვანმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ არიან პარტიული კომიტეტები, პროფკავშირები, სამხედრო პირნი. მოსწავლეები, სოფლების დელეგაციები, აჭარის ფუხარა ხალხი და უთვალავი მოქალაქენი.

11 საათზე 100 კაცისაგან შემდგარმა ორკესტრმა დაუკრა სამგლოვიარო ჰანგი. დროშები ძირს დაიხარა, ყველამ ქუდები მოიხადა, მოლაპარაკე ორატორები ლაპარაკობენ აუნაზღაურებელ დანაკლისის შესახებ და ასურათებენ დაკარგული ბელადის ბუმბერაზ ფიგურას.

„ინტერნაციონალის" შესრულების შემდეგ დაიწყო მსვლელობა, რომელიც 2 ვერსის მანძილზე გაიჭიმა. გზადაგზა ორატორები ლაპარაკობენ. ნაშუადღევის 4 საათზე მთელი პროცესია [illegible]ის მოედანზე შეგროვდა. სიტყვები წარმოითქვა ყველა ენებზე. ცხედრის ჩასვენების წამს გაისმა ზარბაზნების სალიუტი. ახმაურდა ნავთსადგურში მდგომ ყველა გემებზე საყვირის გუგუნი, რომელიც სამგლოვიარო მუსიკის ჰანგებს ეჯიბრებოდა. პროცესია ნელის ნაბიჯით იშლება. ლენინის ძეგლთან, რომელიც შემოსილია ძაძებით, შემკული გვირგვინებით და განათებული პროჟექტორის შუქით, აუარებელი ხალხი იყრის თავს. თეატრში გაიმართა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.

ბაქოს საბჭოს სამგლოვიარო სხდომა

კრების გახსნა.

ბაქო. 27 იანვარი. ქალაქის დიდი თეატრის დარბაზში შესდგა ბაქოს საბჭოს პლენუმის გაფართოებული სამგლოვიარო პლენუმი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა აზერბეიჯანის ალმასკომი, აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭო, რაიკომები, ბაქოსი და მისი რაიონების პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა.

სხდომა გახსნა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კონუშინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბაქოს საბჭო ჯერ არ მოსწრებია ასეთ მძიმე და პასუხსაგებ მომენტში გამართულ სხდომას. ულრმესი მწუხარება იპყრობს ამჟამად არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკის, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს. მიგვატოვა და სამუდამოდ დაგვაობლა ძვირფასმა ილიჩმა.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოიჭრა საყვარელი ბელადის ხსენებაზე.

გაისმა სამგლოვიარო ჰიმნი. ამხ. კონუშინი განაგრძობს: აღარა გვყავს ჩვენი ძვირფასი ბელადი. სიკვდილმა წარიტაცა ის სამარეში. უწყალო ბუნებამ წაართვა მუშებს და მშრომელ ხალხს მთელს ქვეყნიერებაზე ერთად-ერთი მუშათა ბელადი. ლენინის მოძღვრება სცოცხლობს მუშების გულში. ცოცხალია მისი აღთქმანი, რომელთა განხორციელებითაც ჩვენ მივაღწევთ შრომის გამარჯვებას კაპიტალზე მთელ მსოფლიოში. ილიჩი გარდაიცვალა, მაგრამ ამ ჩვენი უხუცესი ბელადის აღთქმანი არ მოკვდებიან და მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის მეხსიერებაში.

ხელახლა, უსიტყვოდ ფეხზე დგება მთელი დარბაზი, სამგლოვიარო ჰიმნი ეფინება დარბაზს.

სომხეთი

გრანდიოზული დემონსტრაცია

გუმბრიში. 27 იანვ. 27 იან. ლენინის დასაფლავების დღეს, გუმბრიში მოეწყო არაჩვეულებრივი გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდენ პროფკავშირები, რკინისგზელნი, მუშები და ამერკომის მოსამსახურეები. შირაქის არხზე მომუშავე ხალხი ახალგაზრდა კომუნისტები, მოსწავლე ახალგაზრდობა და მთელი გარნიზონი. ალბაბიდან სამგლოვიარო ურმებით ჩამოვიდნენ თათრის გლეხები. მსვლელობამ 2 საათს გასტანა. ალმასკომის აივნიდან პასუხისმგებელმა ამხანაგებმა სიტყვები წარმოსთქვეს. ნაშუადღევის 3 საათზე მაისის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა ხაკი-ბეიმ.

საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობა

სამგლოვიარო სხდომა

მოსკოვი. 26 იან. 26 იანვარს საღამოს 6 საათზე დიდ თეატრში გაიმართ საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის პირველი სამგლოვიარო სხდომა ამხ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

დიდი თეატრის დარბაზი სავსე იყო ხალხით. დიპლომატიურ ლოჟაში სხდნენ უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები. დარბაზი მორთულია სამგლოვიარო შავი მატერიით.

ამხ. კალინინის სიტყვა.

ყრილობას ხსნის ამხ. კალინინი: „საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით, საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობას გახსნილად ვაცხადებ. მთელი დღევანდელი სხდომა მიძღვნილი იქნება ვლადიმერ ილიჩის ხსოვნისადმი".

ნაციონალური განთავისუფლება.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. სიმფონიური ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

ამხ. კალინინი ამბობს: „ამ დარბაზში არიან დიდი და პატარა ერების წარმომადგენლები, რომლებიც შეიკრიბენ, რომ აკეთონ საერთო მუშურ-გლეხური საქმე და გამოჭედონ მუშათა და გლეხთა ბედი. ვლადიმერ ილიჩმა პირველად წამოისროლა და პრაქტიკულად განახორციელა ერების სრული ნაციონალური განთავისუფლების ლოზუნგი. ჩვენ აქ მთელი მსოფლიოს წინაშე ვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერების სოლიდარობას, მათ ძმობას ერთად მუშაობის და ნამდვილი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნის სურვილს, რომელშიც არ იქნება დაჩაგრულები, რომელშიც თითოეული ერი თანასწორუფლებიანათ იგრძნობს თავის-თავს. აი რატომ არის მთელი მსოფლიოს დაჩაგრული კლასებისათვის ვლადიმერ ილიჩის სიკვდილი უდიდესი თავზარდამცემი ცნობა.

მუშების და გლეხთა კავშირი.

ერთი კიდევ დიდი იდეა, ცხოვრებაში გატარებული, დაგვიტოვა ჩვენ მემკვიდრეობათ ვლადიმერ ილიჩმა. ეს არის მუშათა და გლეხთა კავშირი. ეს კავშირი ვლადიმერ ილიჩმა არ თუ გაატარა ცხოვრებაში, არამედ გვასწავლა ჩვენ დაგვეფასებია მისი მნიშვნელობა. მუშებისა და გლეხთა კავშირი არის ის მთავარი ბაზა, ის რეალური ძალა, რომლის წყალობით სამოქმედოთ გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის უდიდესი, მოულოდნელი რევოლიუციონური ძალები. ჩვენ მოვალე ვართ განვაგრძოთ ეს საქმე.

საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის [illegible], როცა [illegible] მუშების და გლეხების [illegible] ვლადიმერ ილიჩი პოულობდა საშუალებას, რომლითაც აძლიერებდა, ამტკიცებდა ამ კავშირს. ერთი ასეთი საშუალება იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ახლა გვესაჭიროება ჩვენ. ის საფუძვლები, რომლებიც შექმნა და დაგვიტოვა ილიჩმა, დაცული იქნება სანამ სახელმწიფოს მატერიალური რესურსების ზრდა საშუალებას არ მოგვცემს ხელი აეღოთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. მაშინ ის მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით, ან სხვა რაიმე გზით.

ბრძოლა მშვიდობიანობის დასაცავად.

მე შემიძლია გადაჭრით განვაცხადო, რომ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ჩვენ იბრძვით მშვიდობიანობის დასაცავად და ვეხმარებით იმ ერებს, რომელთა თავისუფალ არსებობას საფრთხე მოელის. ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმართ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლათ, ზოგჯერ ზოგიერთ დათმობებზეც მივდივართ, თუ ეს დათმობები ანაზღაურებული იქნება. ომი—ომს, ბრძოლა მშვიდობიანობისათვის დაჩაგრული ერების განთავისუფლებისათვის—აი ის ამოცანები, რომლებიც დასვა ვლადიმერ ილიჩმა კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასის და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინაშე. ეს ამოცანები ჩვენ ამოცანებათ დარჩენ".

შევასრულებთ მის ანდერძს.

დასასრულ ამხ. კალინინი ამბობს: „**ჩვენ ვასაფლავებთ ვლადიმერ ილიჩს—წმინდად დავიცავთ მის ანდერძს.** უთხრათ ჩვენს თავს: მისი აზრები, მისი ანდერძი კომუნიზმისათვის ბრძოლის შესახებ, არის ჩვენი აზრები და ჩვენი აღთქმა. როგორ მძიმე არ იყოს ჩვენთვის უდიდესი ბელადის დაკარგვა, ჩვენ, ყველამ, უნდა გავაათკეცოთ ჩვენი ძალები მუშათა კლასის საბოლოო მიზნის განსახორციელებლად.

ყველანი ფეხზე დგებიან. ორკესტრი უკრავს რეკვიემს.

ამხ. კრუპსკაიას სიტყვა.

ორატორის ტრიბუნაზე გამოდის ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. ყველანი ფეხზე დგებიან და ესალმებიან ბელადის მეუღლეს და მეგობარს.

„ამ დღეებში, როცა მე ვიდექ ვლადიმერ ილიჩის ახლო, მე გავიხსენე მთელი მისი ცხოვრება. და აი, რა მინდოდა მეთქვა მე თქვენთვის: მის გულს აძგერებდა უდიდესი სიყვარული ყველა მშრომელთა და დაჩაგრულთადმი. ამ გრძნობამ აიძულა ის მხურვალედ და თავდადებით ეძებნა პასუხი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მშრომელთა განთავისუფლების გზები, პასუხი მიიღო მარქსისგან. ის მივიდა არა როგორც მწიგნობარი, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც ეძებს პასუხს მწვავე და სასიცოცხლო კითხვებზე. და მან იქ ჰპოვა პასუხი ამ კითხვებზე. ამ პასუხით ის მივიდა მუშებთან. მაგრამ მუშებთან ის მივიდა არა როგორც ამაყი მასწავლებელი, არამედ როგორც ამხანაგი. ის არა მარტო უამბობდა და ლაპარაკობდა, არამედ ყურადღებითაც ისმენდა, თუ რას ეუბნებოდენ მას მუშები. ისინი ელაპარაკებოდენ მას არა მარტო ფაბრიკებში არსებული წესების შესახებ, არა მარტო მუშების ჩაგვრის შესახებ, ისინი უამბობდენ მას ცხოვრებას თავის სოფლებში.

აი ჩვენ ახლა ბევრს ვლაპარაკობთ კავშირზე მუშებსა და გლეხებს შორის. ეს კავშირი, ამხანაგებო, მოცემულია ისტორიის მიერ; რუსი მუშა ერთი მხრით მუშა არის,—მეორე მხრივ კი—გლეხი. მუშაობამ პეტროგრადელ მუშებს შორის, მათთან საუბარში და მათი სიტყვების ყურადღებით მოსმენამ მისცეს ვლადიმერ ილიჩს მარქსის იმ უდიდესი აზრის გაგება, რომ მუშათა კლასი არის ყველა მშრომელთა მოწინავე რაზმი. მუშათა კლასი გაიმარჯვებს მხოლოდ, როგორც ყველა მშრომელთა ბელადი. ეს შეიგნო ვლადიმერ ილიჩმა, როცა ის მუშაობდა პეტერბურგის პროლეტარებს შორის. ამ აზრით, ამ იდეით იყო გაშუქებული მთელი მისი მოღვაწეობა, თითეული მისი ნაბიჯი, მას სურდა ძალაუფლების დაპყრობა მუშათა კლასისთვის. მან იცოდა, რომ მუშათა კლასს ეს ძალაუფლება ესაჭიროება არა იმისთვის, რომ მოამზადოს თავისთვის ტკბილი ცხოვრება სხვა მშრომელთა ხარჯზე. მან იცოდა, რომ მუშათა კლასის ისტორიული ამოცანა მდგომარეობს ყველა მშრომელთა, ყველა დაჩაგრულთა განთავისუფლებაში. ამ მთავარმა იდეიამ თავისი დაღი დაასვა ვლადიმერ ილიჩს მთელს მოღვაწეობას. ამხანაგებო, მე გთხოვთ ვლადიმერ ილიჩის ეს იდეა ყველაზე უფრო ახლო მიიღოთ გულთან.

ამხანაგებო! მოკვდა ჩვენი ვლადიმერ ილიჩი, მოკვდა ჩვენი სურვილი, ჩვენი სიამაყე. ამხანაგებო—კომუნისტებო! მაღლა ასწიეთ ლენინისათვის ძვირფასი კომუნიზმის დროშა!

ამხანაგებო, მუშებო და მუშა-ქალებო, ამხანაგებო—გლეხებო და გლეხო ქალებო, მთელი ქვეყნის მშრომელნო! შეკავშირდით და მჭიდრო რიგებით დადექით ლენინის დროშის—კომუნიზმის დროშის ქვეშ!

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

—ჩვენ ყველანი, რომლებიც ვმუშაობდით ვლადიმერ ილიჩის გენიალური ხელმძღვანელობით, ვგრძნობდით, რომ ჩვენს ოჯახს, ჩვენს პარტიას [illegible] უდიდესი ადამიანი. და მაინც ახლა, ამხანაგებო, როცა ვლადიმერ ილიჩი აღარ არის ჩვენს შორის, ჩვენ ყველამ განსაკუთრებულის სიძლიერით ვიგრძენით თუ რა იყო ჩვენთვის და რათ დარჩება მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის ვლადიმერ ილიჩი. რა დიდათ არ ვაფასებდით ჩვენ ჩვენს ბელადს და მასწავლებელს, მაგრამ აშკარაა, ჩვენ საკმაოდ მაინც ვერ ვაფასებდით მას. ვლადიმერ ილიჩის ნამდვილი მნიშვნელობა ჩვენსა და მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების წინაშე ნათელი ხდება მხოლოდ ახლა.

ჩვენ მოწამე ვართ სამი რევოლიუციის. ჩვენ ვიხილეთ ხალხის ძლევამოსილი მასა, ერთი გრძნობით გატაცებული. თითეულ ჩვენგანს წილათ ხვდა უდიდესი ბედნიერება გვეხილა ხალხის შემჭიდროებული რიგები, გვეხილა ხალხი, მაღალი გრძნობით გამსჭვალული. მაგრამ განა გვიხილავს ჩვენ მთელს ამ განვლილი წლების განმავლობაში სურათი იმაზე გრანდიოზული, ვიდრე ის, რომელსაც ოთხი დღეა ვხედავთ ჩვენ მოსკოვში? ეჭვს გარეშეა, მთელ რუსეთში დღის ასე ხდება. გინახავთ განა თქვენ ოდესმე წინათ ასეთი მშვენიერი მთლიანი ხალხის მასა, ასეთი ცოცხალი გამოძახილი ასეულ და მილიონ მშრომელების მხრივ, რომლებიც ეწყობიან აქვე ქუჩებში, რომლებიც დღიან-ღამიან ახლანდელ ზამთრის სუსხში დგანან და უცდიან თავის რიგს, რომ შევიდენ და პატივი სცენ ბელადის ცხედარს? გინახავთ განა თქვენ ცხოვრებაში უფრო გრანდიოზული, ვიდრე ეს მუშების უსაზღვრო, უნაპირო ტალღა, რომლებიც შედიოდენ და გამოდიოდენ „კოლონნის" დარბაზიდან ცრემლით სავსე თვალებით, სამგლოვიარო მარშის ჰანგებში განბანილ გულით — და მაინც მაღლა აწეული თავით, და მაინც ერთი დიდი იდეით გამსჭვალულნი?

ხალხის მასა თითქოს მეორეჯერ განიცდის ოქტომბრის დიდ რევოლიუციას. მუშათა კლასი კიდევ და კიდევ განიცდის ამ დიდებულ წლებს, იხსენებს გადამჭრელ მომენტს და რუბიკონს, რომელსაც გადაატარა ჩვენი ქვეყანა ვლადიმერ ილიჩმა. ხალხის მასები, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ისწავლიან ახლა უკეთესად გაგებას იმის, თუ რა იყო და რად დარჩება ვლადიმერ ილიჩი, მიუხედავად ფიზიკური სიკვდილისა, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, მთელი კაცობრიობისათვის!

თვით ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა—საერთაშორისო ბურჟუაზიამ და მეორე ინტერნაციონალმა ვერ შეძლეს ძლაუნებურად ღირსეული პატივით არ მოეხსენებიათ ვლადიმერ ილიჩი. თქვენ წაიკითხეთ ეს გამოხმაურება—თქვენ ხედავთ, რომ ვლადიმერ ილიჩმა უკიდურეს მოწინააღმდეგეებსაც კი გამოჰგლიჯა მისი უდიდესი, მსოფლიო ისტორიულ დამსახურებათა აღიარება. ისინი ადარებენ მას წარსულის ისტორიულ ფიგურებს: კრომველს, ნაპოლეონს, რობესპიერს, პეტრე დიდს. მაგრამ ისინი ვერ ხედავენ იმას, რომ კაცობრიობის წარსულ ისტორიაში ამაოა ვლადიმერ ილიჩის ბუმბერაზობასთან შესადარი ფიგურის ძებნა.

აილეთ რობესპიერი, განა ის ბავშვი არ არის ვლადიმერ ილიჩთან შედარებით? განა ის შეზრდილი იყო თანამედროვე ეპოქის უდიდეს კლასთან—მუშათა კლასთან? განა ის იდგა მარქსიზმის რკინის საძირკველზე? განა მას ჰქონდა განჭვრეტის ის უნარი, რომლითაც დაჯილდოვებული იყო ლენინი? ლენინის ფიგურას უნდა შეედაროს ყველა მისი წინამორბედი, და არა პირიქით.

მე ვერ შევასრულებდი ჩემ ვალს, რომ დღეს არ ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რას გრძნობენ და რას ამბობენ იმ 42 პარტიის მუშა-კომუნისტები, რომლებიც შედიან კომუნისტურ ინტერნაციონალში და რომელთა სახელით დღეს აქ მე უნდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა, რადგან ისინი აქ არ არიან ეჭვს გარეშეა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ათეული და ასეული ათასი მუშები დღეს ცრემლს ღვრიან რუსეთის მუშებთან ერთად, ჩვენთან ერთად განიცდიან ჩვენს მწუხარებას. მთელი მსოფლიოს მუშებმა—როცა კი მათ იგრძნეს, რომ იწყება ახალი ეპოქა მათი ბრძოლის ისტორიაში, როცა მათ შეიგნეს და იგრძნეს, რომ ახლოვდება საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუცია—ალღოთი დაინახეს ვლადიმერ ილიჩში თავისი საერთაშორისო ბელადი, თავისი რჩეული.

ვლადიმერ ილიჩის დიდ, დაუშრეტელ მემკვიდრეობაში ორი მთავარი საგანი: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და საერთაშორისო ორგანიზაცია—კომუნისტური ინტერნაციონალი. არავის არ დაუხარჯავს იმდენი შრომა კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის საქმეში, რამდენიც ლენინმა დახარჯა და არავინ ასეთი სიძლიერით, ასეთის ინტიმური სიყვარულით არ უყვარდა მთელი ქვეყნის მშრომელი მასები, როგორც ვლადიმერ ილიჩი. ვლადიმერ ილიჩს წილად ხვდა გამხდარიყო არა მარტო თავისი მშობლიური ხალხის, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი. ჩვენი კრება არის პირველი სუსტი ცდა ცოტათი მაინც ობიექტიური თვალებით შევხედოთ იმას, თუ რა გააკეთა ვლადიმერ ილიჩმა ჩვენი ქვეყნისთვის.

ვლადიმერ ილიჩი აღარ არის. ხვალ ჩვენ სას სამარეს მივაბარებთ. საკითხი იმის შესახებ, თუ რა იქნება ხვალ, უნდა დაისვას და უკვე ისმება თითეული ჩვენგანის მიერ, ჩვენი პარტიის თვითეული უბრალო წევრის მიერ, საბჭოთა მშენებლობის თითეული მონაწილის მიერ. შევსძლებთ ჩვენ ჩვენი ქვეყნის მიყვანას იმ აღთქმის ქვეყანაში, რომელიც ეხატებოდა ვლადიმერ ილიჩის სულიერ თვალებს, შევსძლებთ ჩვენ კოლექტიური გამოცდილების მთელი სიძლიერით, კოლექტიური ორგანიზაციის მთელი სიძლიერით შევასრულოთ ის, რასაც გვასწავლიდა ჩვენ ვლადიმერ ილიჩი? ჩვენი პარტია იქნება მთლიანი და ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, შეამჭიდროებს თავის რიგებს. ჩვენი პარტიის ან საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის თითეული უბრალო და არა უბრალო მონაწილენი დასთანხმდებიან მოჰკვეთონ მას მარჯვენა ხელი, ვიდრე გადასდგამენ რაიმე ნაბიჯს, რომელიც ოდნავ მაინც შესძლებს დაარღვიოს რ. კ. პ. რკინის რიგების ან საბჭოთა ხელისუფლების მთლიანობა. პარტიის მთლიანობა—ეს უდიდესი, მთავარი მემკვიდრეობაა, რომელიც ვლადიმერ ილიჩმა დაგვიტოვა. როგორც თვალის ჩინს, უნდა გაუფრთხილდეთ და მოუაროთ ჩვენ ამ მთლიანობას. ამ განწყობილებით დავიშლებით ჩვენ ამ სამგლოვიარო, მაგრამ დიდი ყრილობიდან მივიღებთ დადგენილებას, თუ როგორ ვიმუშაოთ მომავალში.

იმისათვის, რომ ჩვენ შევსძლოთ დამშვიდებულის სინდისით მივიღოთ ასეთი დადგენილება, ჩვენ ყველაზე უფრო გვესაჭიროება ჩვენი საკუთარი რიგების მთლიანობა. ვლადიმერ ილიჩმა ჩვენი ქვეყანა ყველაზე უფრო შავბნელ და მძიმე დროში გაატარა. საბჭოთა კავშირი ლენინის ხელით უკვე გამოყვანილია გზაზე და ყველაზე უფრო მძიმე დრო დავსტოვეთ უკან. ჩვენ შევსძლებთ ვლადიმერ ილიჩის ყველა მიღწევების დაცვას და განვითარებას. ჩვენ უნდა დავიშალოთ აქედან იმ გრძნობით, რომ ჩვენ დაგვაწვა უდიდესი, მძიმე პასუხისმგებლობა, მაგრამ ამასთანავე იმ გრძნობით, რომ ვლადიმერ ილიჩმა დაგვიტოვა ჩვენ ყველა მთავარი ამოცანების გასაღები და ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც—თუ ის მთლიანი იქნება—ჩვენ საბუთი გვაქვს ვიქონიოთ იმედი, შეასრულებს თავის დიდ მისიას.

დეე, ვლადიმერ ილიჩის ანდერძი წმინდათა წმინდათ გადაიქცეს ჩვენთვის, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. გავხდეთ ღირსეული ჩვენი დიდი მასწავლებლის—ვლადიმერ ილიჩ ლენინის.

(ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს).

ამხ. სტალინის სიტყვა.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა მე გამოთქვა მისი აზრები და გრძნობები იმ ძირითად აღთქმების შესახებ, რომლიც დაგვიტოვა ჩვენმა ბელადმა—ლენინმა, და თავისი მზათყოფნის შესახებ შეასრულოს ეს აღთქმები. ჩვენ—კომუნისტები განსაკუთრებული აგებულების ხალხი ვართ. ჩვენ აგებული ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ვართ ისინი, ვინც შეადგენენ დიდებულ პროლეტარულ სტრატეგის—დიდებულ ლენინის არმიას. არ არის არავითარი ღირსება იმაზე მეტი, როგორც ამ არმიაში ყოფნა. არაფერი არ არის იმაზე მაღალი, როგორც პარტიის წევრის წოდება, იმ პარტიის, რომლის ძირითადი ხელმძღვანელია ლენინი. ყველას არ შეუძლია აიტანოს ის ტანჯვა და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ამ აპარატში ყოფნასთან.

მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, აუტანელ შევიწროებათა და გმირულ თავდადების შვილები,—აი ვინ უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრი.

აი რატომ არის, რომ ლენინის პარტიას, კომუნისტების პარტიას ეწოდება იმავე დროს მუშათა კლასის პარტია. წავიდა რა ჩვენგან, ლენინმა გვიანდერძა ჩვენ მაღლა გვეჭიროს და წმინდათ შევინახოთ პარტიის წევრის დიადი სახელი.

ფიცსა ვსდებთ, ამხ. ლენინო, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს დიად აღთქმას.

წავიდა რა ჩვენგან, ლენინმა გვიანდერძა ჩვენ გავუფრთხილდეთ ჩვენი პარტიის მთლიანობას, როგორც თვალის ჩინს.

ფიცსა ვსდებთ, ამხ. ლენინო, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს აღთქმასაც.

მძიმე და აუტანელია მუშათა კლასის ხვედრი, მწვავეა მშრომელთა ტანჯვა. ათჯერ და ასჯერ უცდიათ მშრომელებს საუკუნოების განმავლობაში ჩამოეგდოთ დაჩაგვრელები და გამხდარიყვნენ მდგომარეობის ბატონი, მაგრამ, ყოველთვის დამარცხებული და შერცხვენილი, იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ და გულში შეენახათ დამცირება, შეურაცხყოფა, სიძულვილი და სასოწარკვეთილება და უცნობ ცისკენ მიეპყროთ თვალები, სადაც ისინი ელოდენ განთავისუფლებას.

მონობის ჯაჭვი რჩებოდა ხელშეუხებელი, რადგან ძველ ჯაჭვებს სცვლიდა ახალი, ისეთივე დამამცირებელი შეურაცხმყოფელი.

და მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოახერხეს დაჩაგრულებმა, აბუჩად აგდებულმა მშრომელმა მასებმა კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობის დამხობა და მის მაგივრად მუშების და გლეხების ბატონობის დამყარება. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ეხლა მთელი ქვეყნიერება სცნობს ამას, თქვენ იცით, აგრეთვე, რომ ამ გიგანტიურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ლენინი და მისი პარტია. ლენინის სიდიადე, პირველ ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან შექმნა საბჭოების რესპუბლიკა და ამით საქმით დაუმტკიცა ყველა ქვეყნის დაჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი არ არის დაკარგული, რომ მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობა არ არის ხანგრძლივი, რომ შრომის სამეფო შეიძლება დამყარებული იქნეს მიწაზე და არა ზეცას. ამით მან განთავისუფლების იმედის ნაპერწკალი ჩაუნერგა გულში ყველა ქვეყნის მუშებს და გლეხებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი საყვარელი გახდა ყველა მშრომელებისა და დაჩაგრულებისათვის.

წავიდა რა ჩვენგან, ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა.

ფიცსა ვსდებთ, ამხ. ლენინო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალას იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი აღთქმაც.

პროლეტარიატის დიქტურა შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე. ეს—პირველი და ძირითადი საფუძველია საბჭოების რესპუბლიკის. მუშები და გლეხები ვერ დაამარცხებდენ კაპიტალისტებს და მემამულეებს ასეთი კავშირის გარეშე. მუშები ვერ დაამარცხებდენ კაპიტალისტებს გლეხებ[illegible]ლად. გლეხები ვერ [illegible]ენ მემამულეებს, თუ [illegible]ღვანელობას არ გაუწევდენ [illegible]. ამაზე ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანაში წარმოებული სამოქალაქო ომის მთელი ისტორია.

წავიდა რა ჩვენგან, ლენინმა გვიანდერძა ჩვენ განვამტკიცოთ მთელის ძალღონით კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის.

ფიცსა ვსდებთ, ამხ. ლენინო, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს აღთქმასაც.

რესპუბლიკის მეორე საფუძველია ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა მშრომელების კავშირი. რუსები და უკრაინელები, ბაშკირები და ბელორუსები, ქართველები და აზერბეიჯანელები, სომხები და დაღესტნელები, თათრები და ყირგიზები, უზბეკები და თურქმენები,—ყველა ისინი ერთნაირათ დაინტერესებული არიან პროლეტარიატის დიქტატურის გამტკიცებაში.

წავიდა რა ჩვენგან, ლენინმა გვიანდერძა ჩვენ განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ რესპუბლიკების კავშირი.

ფიცსა ვსდებთ, ამხ. ლენინო, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს აღთქმასაც.

პროლეტარიატის დიქტატურის მესამე საფუძველია ჩვენი წითელი არმია და ჩვენი წითელი ფლოტი. ლენინი არაერთხელ გვეუბნებოდა ჩვენ, რომ შესვენება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან, შეიძლება ხანმოკლე გამოდგეს. ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა ჩვენ, რომ წითელი არმიის გამტკიცება და მისი შემადგენლობის განუმჯობესება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ჩვენი პარტიის. კერზონის ულტიმატუმთან და გერმანიის კრიზისთან დაკავშირებულმა ამბებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ლენინი, როგორც ყოველთვის, მართალია.

შევფიცოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალებს, რომ განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია და ჩვენი წითელი ფლოტი.

უზარმაზარ კლდესავით სდგას ჩვენი ქვეყანა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ოკეანით გარემოცული. ტალღა ტალღაზე ეხეთქება მას და ლამობენ მის დაფშვნას და წყლით დაფარვას. კლდე კი სდგას შეურყევლად. რაშია ჩვენი ქვეყნის ძალა? არა მარტო იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა ეყრდნობა მუშათა და გლეხთა კავშირს, რომ ის გამოხატავს თავისუფალ ეროვნებათა კავშირს, რომ მას იცავს წითელი არმიის და წითელი ფლოტის ძლიერი ხელი. ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, მისი სიმაგრე და სიმტკიცე მდგომარეობს იმაში, რომ ის სარგებლობს ღრმა თანაგრძნობით და შეურყეველ დახმარებით ყველა ქვეყნის მუშების და გლეხების გულში. მთელი ქვეყნის მუშებს და გლეხებს სურთ დაიცვან საბჭოების რესპუბლიკა, როგორც ლენინის მტკიცე ხელით მოწინააღმდეგეთა ბანაკში გასროლილი ისარი, როგორც ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავის დახსნის იმედების დასაყრდენი, როგორც სწორი მაიაკი, რომელიც უჩვენებს მათ განთავისუფლების გზას. მათ სურთ დაიცვან ის და საშუალებას არ მისცემენ მემამულეებს და კაპიტალისტებს დაანგრიონ იგი.

ამაშია—ძველი ძალა, ამაშია—ყველა ქვეყნების მშრომელთა ძალა. ამაშივეა—ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის სისუსტე. ლენინი არასოდეს არ უცქეროდა საბჭოების რესპუბლიკას, როგორც თვითმიზანს. ის ყოველთვის სთვლიდა მას, როგორც აუცილებელ რგოლს რევოლიუციონურ მოძრაობის გასაძლიერებლათ დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც აუცილებელ რგოლს ყველა ქვეყნის მშრომელთა გამარჯვების გასაადვილებლად კაპიტალზე. ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ასეთი გაგება არის სწორი, არა მარტო საერთაშორისო თვალსაზრისით, არამედ თვით საბჭოთა რესპუბლიკის თვალსაზრისითაც. ლენინმა იცოდა, რომ ასეთი გზით შეიძლება ყველა ქვეყნების მშრომელთა გულის ანთება და მათი წაყვანა გადამწყვეტ ბრძოლაში საბოლოო განთავისუფლებისათვის.

აი, რატომ არის, რომ მან გენიალურმა, პროლეტარიატის ყველა გენიალურ ბელადებს შორის—პროლეტარულ დიქტატურის დამყარების მეორე დღესვე, საძირკველი ჩაუყარა მუშათა ინტერნაციონალს. აი, რატომ არ ისვენებდა ის და აფართოებდა და ამტკიცებდა ყველა ქვეყნის მშრომელთა კავშირს —კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ჩვენ ვნახეთ ის ათეული და ასეული ათასი მშრომელები, რომლებიც მიდიოდენ ლენინის კუბოსთან. რამოდენიმე ხნის შემდეგ თქვენ ნახავთ აქ მრავალმილიონ მშრომელების წარმომადგენლებს, რომლებიც პატივისცემით მიდიან ლენინის საფლავზე. შეიძლება დარწმუნებული იყოთ, რომ მილიონ მშრომელების წარმომადგენლებს თან მოყვებიან ათეულ და ასეულ მილიონების წარმომადგენლები ქვეყნიერების ყველა კუთხეებიდან, რომ დაამოწმონ, რომ ლენინი იყო ბელადი არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის, არა მარტო ევროპის მუშების, არა მარტო კოლონიალურ აღმოსავლეთის,—არამედ მთელ მშრომელ ქვეყნიერების.

წავიდა რა ჩვენგან, ლენინმა გვიანდერძა ჩვენ არ ვუღალატოთ კომუნისტურ ინტერნაციონალის პრინციპებს.

ფიცსა ვსდებთ, ამხ. ლენინო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს იმისათვის, რომ განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ ყველა ქვეყნის მშრომელთა კავშირი—კომუნისტური ინტერნაციონალი.

ამხ. ბუხარინის სიტყვა.

„ხვალ ჩვენ ვასაფლავებთ ვლადიმერ ილიჩს. ყოველ ორგანიზაციის, ყოველ ხალხის, ყოველ ქვეყნის ცხოვრებაში დგება ისეთი ტრაგიკული მომენტები, როცა თვითეული მებრძოლი იცქირება უკან გავლილ გზაზე და იგებს თავის საკუთარ ისტორიას და თავის საქმეებს უფრო უკეთესად და უფრო სწორად, ვიდრე ბრძოლის ქარცეცხლში. დღეს ჩვენი ქვეყანა სჩადის ამას, ვინაიდან ლენინი არის გმირი არა მარტო პარტიის, მუშათა კლასის და გლეხობის, არამედ მთელი ჩვენი დიდი ქვეყნისაც. მთელი ჩვენი ქვეყანა ხელახლა განიცდის მძიმე, სახელოვან და გმირულ წლებს თავის რევოლიუციონურ ისტორიაში.

ჩვენ დღეს ნათლად ვხედავთ, როგორი დიდი და გიგანტური ფიგურა იყო განშორებული ლენინი. ეს უდიდესი ბუმბერაზი ფიგურა მუდამ იდგომება კაცობრიობის განვითარების ისტორიის ორ ეპოქათა საზღვარზე. ენგელსი ლაპარაკობდა: „ადამიანთა საზოგადოების ისტორია მუშათა კლასის დიქტატურამდეც კი არის მხოლოდ წინასწარი ისტორია. მხოლოდ როცა მუშათა კლასი ხელში ჩაიგდებს ძალა უფლებას, დაამხობს ძველ კაპიტალისტურ მსოფლიოს, საძირკველს ჩაუყრის ახალ თავისუფალ საზოგადოებას,—მხოლოდ მაშინ გადაიშლება ადამიანთა საზოგადოების ნამდვილი ისტორიის ფურცელი, როცა ადამიანი აღარ იქნება მგელი ადამიანისათვის, როცა კონკურენციის, სისხლისმღვრელ ომის, ვერაგობის და ძარცვის ნაცვლად, დამყარდება ადამიანის გონების სამეფო და კაცობრიობა დაიპყრობს ბუნების სტიქიურ ძალებს". ეხლა ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ ისეთ ხანაში, როცა ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება გადავფურცლოთ კაცობრიობის ისტორიის პირველი გვერდი, გვყავს რა ჩვენ წინ რევოლიუციის ისეთი ბუმბერაზი, როგორიც იყო ლენინი.

მისი რკინის, გიგანტური ფიგურა იდგომება ყველა შთამომავლობათა ხსოვნაში. ამ მომენტიდან დაითვლიან ახალ საუკუნოებს; ჩვენი ბელადის სახელი საუკუნოთ იცოცხლებს.

მილიონიან მშრომელთა მოციქული, წინასარმეტყველი, წინამძღოლი, საუკეთესო ჩირაღდანი იყო ლენინი. მას ახასიათებდა იშვიათი თვისება: არავინ არ იცოდა ადამიანი, რომელიც ასე მახლობელი, მისაწდომი და მარტივი ყოფილიყოს თვითეულ მუშისა, გლეხისა, მუშა-ქალისა და გლეხ ქალისათვის.

ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ სხვა ვინმე, რომელიც ასეთი გენიალური სიმარტივით ყოფილიყოს დაჯილდოებული. მიმზიდველობის ძალა, ბრძნებლობა აზრებსა და გრძნობებზე, რომელიც ლენინს ახასიათებდა, მდგომარეობდა იმაში, რომ ლენინს შეეძლო არა მარტო ლაპარაკი მასებთან, არამედ შეეძლო მოესმინა, რომ ლენინი იყო უდიდესი ადამიანი, რომელიც ათასი მავთულით იყო შეერთებული ისტორიულ ასპარეზზე ახლად გამოსულ მუშის და გლეხის გულთან.

ლენინი დაუახლოვდა მუშას და გლეხს, არა ზევიდან, არამედ როგორც საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი არა მარტო თავისი გრძნობით, არამედ თავისი მუშაობის ყველა მეთოდებით. ჩვენ ათასჯერ უნდა ვისწავლოთ ლენინისაგან განსაკუთრებული მიდგომა, რომლითაც ის იპყრობდა მუშის და გლეხის გულს. არც ერთი სიტყვა ამპარტავნული, არც ერთი გაუგებარი გამოთქმა—ყველგან დამყარება მასაზე. მიყრუებულ სოფლის გაგება, ყველგან უდიდესი მგრძნობიარობა იმათ მიმართ, რომლებიც ეს არის იღვიძებენ და სდგამენ პირველ ნაბიჯს საზოგადოებრივ კიბის საფეხურებზე.

ამიტომ ვლადიმერ ილიჩი იყო მოგვი და სასწაულთმომქმედი, რომელიც იპყრობდა მილიონების აზრებს და გრძნობებს. ამიტომ, როცა კაპიტალისტურ რეჟიმის წინააღმდეგობებმა (ომმა სიმშილმა და გაჭიანურებულმა ბრძოლებმა) უდიდესი ზედაწოლა მოახდინეს და დაბალი ფენებიდან აზვირთდა უკმაყოფილების ტალღა—ვლადიმერ ილიჩი, როგორც გამოცდილი მესაჭე, ჩაუდგა სათავეში ამ საშინელ, უდიდეს, ყველაფრის გამანადგურებელ რევოლიუციონურ სტიქიას. და წაიყვანა იგი ისე, როგორც ამას მოითხოვდენ მუშათა კლასის ინტერესები. ვლადიმერ ილიჩი შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, როცა იგი იმყოფებოდა ლიბერალურ ბურჟუაზიის: ესერების და მენშევიკების ძალა-უფლების ქვეშ. ლიბერალური ბურჟუაზია ნათლავდა მას ჯაშუშად; ლიბერალური ბურჟუები, ჩვენი ინტელიგენციის უდიდესი უმრავლესობა, მრავალი ნახევრად კულაკური გლეხობა და მუშების ერთი ნაწილიც კი სთვლიდენ მას გზა-აბნეულ ადამიანად, ან გერმანიის ჯაშუშათ. ვლადიმერ ილიჩმა მაშინვე გამოიჩინა რევოლიუციონურ ბელადის ყველა თვისებები.

ეხლა ის ჩადის საფლავში. ვლადიმერ ილიჩმა შესძლო მოეპოვებია ისეთი ავტორიტეტი და ისეთი გავლენა, რომელიც სცილდება ლენინის რკინის ხელით შემჭიდროებულ სახელმწიფოს ფარგლებს. ის ბუმბერაზივით იდგომება ყველა შთამომავლობათა ხსოვნაში.

მუშათა კლასი აღმართული კედლივით სდგას ამ დიადი საფლავის დასაცავად; გლეხობა ყოველ კუთხიდან აგზავნის თავის წარმომადგენლებს. რუსეთის სამეცნიერო აზრის წარმომადგენლები—ძველი აკადემიკოსები, კვალიფიციურ ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში ვერ ნახულობდენ სიტყვებს, რათა სამარცხვინო დაღი დაესვათ ბოლშევიკებისათვის, სდგანან დღეს მუშათა კლასის წარმომადგენლებთან ერთად საპატიო ყარაულში, „ცოცხალი ეკლესიაც" კი საჭიროთ სთვლის გზა დაულოცოს გარდაცვლილ ვლადიმერ ილიჩს.

ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ურყევია ისტორიის ის სალი კლდე, რომელზედაც დამყარებულია საბჭოთა ხელისუფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მივაღწიეთ სამოქალაქო მშვიდობიანობას, როცა მუშათა კლასი კი არ ასრულებს გაბატონებულ ბურჟუაზიის ნება-სურვილებს, არამედ მცხოვრებთა ყველა კლასები, ყველა ჯგუფები—საშუალედო და უკიდურეს ფრთაზე მდგომი ფენები მისდევენ და ასრულებენ, როგორც კანონს, რუსეთის მუშათა კლასის ნება-სურვილებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ჩავუყარეთ მტკიცე საძირკველი და რომ ყველაზე მძიმე დრო განვლილია.

ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლიუციონურ ტაქტიკის გენიალურმა ხელოსანმა—ვლადიმერ ილიჩმა ააცილა ჩვენ სახელმწიფო გემს ყველა საფრთხეები, რომ მთავარი საქმე შესრულებულია ჩვენ ქვეყნისათვის ცხრა მეათედით.

ვლადიმერ ილიჩზე, როგორც ადამიანზე, ოდესმე დაიწერება მთელი ტომები, მაგრამ ჩვენ, მასთან ახლოს მდგომებს, შეგვიძლია გითხრათ თქვენ: არა მარტო პირადი სიმამაცით, ზეადამიანური სიდინჯით, გამბედაობით და საქმისადმი ერთგულებით, რასაც ბურჟუაზიული არამზადები უწოდებენ რევოლიუციონურ ფანატიზმს,—არამედ უდიდეს ადამიანობის და ამხანაგობის თვალსაზრისითაც ამხ. ლენინი შეუდარებელი იყო. ამაზე ჩვენ ოდესმე მოგითხრობთ სხვა გზით. ეს იყო უმშვენიერესი სიცოცხლე. ეს იყო უდიდესი ადამიანი. ეს იყო უდიდესი ნიჭი, რომელიც მთლიანად თავდადებული და დახარჯული იყო გააფთრებულ ბრძოლაში მუშათა კლასის და საერთაშორისო რევოლიუციის სასარგებლოდ.

ეხლა, როცა ჩვენ დავკარგეთ ჩვენი საყვარელი მასწავლებელი და მეგობარი, ჩვენი უდიდესი ბელადი—ჩვენ უნდა ვიპოვოთ ჩვენში სიმამაცე და ძალა, რათა უფრო მეტი ენერგიით შევუდგეთ გაცხოველებულ, გაცხარებულ მუშაობას იმ პოსტებზე, რომლებზედაც ჩვენ ვდგევართ და ვემსახურებით რევოლიუციონურ მუშებს და გლეხებს. ვდგევართ რა გახრილ საფლავთან, ჩვენ ვგრძნობთ ვლადიმერ ილიჩს, რომელიც სდგება თავის კუბოდან და გვაძლევს ჩვენ უკანასკნელ ბრძანებას, უკანასკნელ განკარგულებას:

„ამაღლეთ მაღლა დროშები, წინ! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს.

ვ. ი. ულიანოვ-ლენინი

ლ. დ. ტროცკი სწერს:

მარქსს რომ არ მოეხდინა არც ერთი რევოლიუციური აქტი და დაეტოვებია შთამომავლობისათვის მარტო „კაპიტალი", მაინც მარქსი იქნებოდა დიდი ისტორიული პიროვნება. ლენინს რომ არ დაეწერა არც ერთი სტრიქონი და დაეტოვებია კაცობრიობისათვის მარტო რევოლიუციური მოქმედება, მაინც ლენინი იქნებოდა დიდი ისტორიული პიროვნება.

ამ სიტყვებში ნამდვილი გაგებაა. მარქსი მოაზრე და ლენინი მომქმედი. ორივე დიდი ეკვივალენტობით. სინამდვილეში კი მარქსიც მოქმედობდა და ლენინიც სწერდა. მართალია: მარქსის ნაწერი უფრო დიდია, ვიდრე მისი მოქმედება. ხოლო ასეთი პროპორციით ვერ ვიტყვით, თითქო ლენინის ნაწერი უფრო ნაკლები იყოს ვიდრე მისი მოქმედება. უფრო მართებული იქნება ვსთქვათ, რომ ლენინის „მწერლობა" იგივე მოქმედებაა.

აქ არის ლენინის საოცრება როგორც ისტორიული მოვლენის, ასეთი მთლიანი პიროვნება ბოლო ხანებმა არ იცის. ევროპის ეპოქალური ტიპი ჰამლეტია. ჰამლეტობა ევროპაში თითქმის ყველა ისტორიულ პიროვნებას ახასიათებს, ლენინი ამ მხრით პირველია ევროპის ერაში, საიდანაც იწყება სრულიად ახალი ტიპი: ჰამლეტის ანტიპოდი—პიროვნება როგორც განუყვეთელი ალი.

ლენინის ფენომენზე ტომები დაიწერება. საოცარია მასში: იდეალი ინტერნაციონალური და ბუნება ნაციონალური, ორივე ნაკადულის შესხეულებით. ხშირად მას პეტრე დიდს ადარებენ. ამ შედარებაში მართალია ორივეს „რუსობა". მაგრამ გადალახვით ლენინი ბევრათ უფრო დიდია.

ლენინში მოცემულია მთელი რუსეთის „საშო". აქ არის რუსეთის ველი, რომლის უკიდურობა სივრცის შიშს ჰბადებს. აქ არის გიჟური მოხედვა მღვრია ქაოსის, რომლის თვალებში დოსტოევსკიმ ჩაიხედა. აქ არის ქვეყნის დაშლა, რომლის გუგუნი ქვესკნელში ტიუტჩევმა გაიგონა. აქ არის ნგრევის რიტმების აგორება, რომელსაც თან გადაჰყვა სკრიაბინი. აქ არის სლავური შეტევა სამყაროს მიმართ.

მაგრამ ლენინს კიდევ სხვა რამ ახასიათებს—რუსეთის „საშო" რბილია და უნებო, ლენინი სასტიკია და ნებიანი. ლენინი ნებაა თვითონ როგორც ხალხის რკინა. მასში უთუოდ არის რასიული გაქანება მონგოლური მონოლითის. მონოლითი ჯერ კიდევ გამოუცნობია. აქ საკმარისია მხოლოდ იმის თქმა, რომ რაინდული გავარდნა მონოლისა კეთილშობილურია თავის სისასტიკეში სლავების უცნაურ არეში, როცა სული მარტო კატასტროფას ელის, ასეთი გავარდნა ფენომენალურ ფაქტად უნდა მოვლენილიყო, ეს ფაქტი ლენინია თვითონ. სწორედ აქ არის იგი მეტი პეტრე დიდზე. ლენინის გადალახვამ არ იცის საზღვარი.

ლენინის ნებისყოფას და ნაპოლეონის ნებისყოფას ადარებენ, მაგრამ, ერთი პოეტის სიტყვით, ნაპოლეონის ნება იყო ქოლერიული, ჭკუა კი მელანქოლიური. ლენინის ქოლერიულ ნებას კი კიდევ უფრო ახლებს ქოლერიული ჭკუა. ამისათვისაა ლენინი მარტო ცეცხლი და მარტო წვა. ახალს ისტორიაში ასეთი ცეცხლი მგონი არავის არ ჰქონია. აქ არის სიცხე ჰანნიბალის და რისხვა თიმურის.

ნების პრიმატი ეს ბაზი ტროცკის სიტყვებიდანაც ჩანს. მაგრამ ეს პრიმატობა არ უნდა იყოს ინტელექტის პირისპირ. აქ არის ლენინის ფენომენალობა. რასაკვირველია, შესაძლოა—სხვას [illegible] უნივერსალური ჰქონდეს [illegible] და [illegible] ინტელექტი, შესაძლოა—ათასი სხვადასხვა პრობლემები წამოეყენებინოს და გასაოცარი ორიგინალობითაც გადაეჭრას. ასეთ ინტელექტზე აქ არ მაქვს ლაპარაკი. მე მაქვს სახეში ინტელექტი, რომელიც „ფატუმშია" მოცული, „ფატუმი" ანტიური გაგებით. ლენინში უთუოდ არის „მიდი", თუ გინდ იმ გაგებით, რომელიც ბოლო ხანებში ოსვალდ შპენგლერმა წამოაყენა. აქედან მომდინარეობს ლენინის დიდი ინსტინქტი: ყოველის წამსავე გაგება, ტომებისა და ტრაქტატების გარეშე, აქედან გამოდის მისი სწორი და უტყუარი თვალი გაზომვაში. აქედანვე—მისი რევოლიუციური მიმართება და ტაქტი.

ლენინი ყველაზე უფრო დიდი რევოლიუციონერია. ამ მხრით მან არ იცის ტოლი. ნუ შეგვეშინდება გაბედული თქმის. ევროპაში რევოლიუცია უფრო მატერიალურ სიკეთეთა „გადალაგებაა", რუსეთში რევოლიუცია სამყაროს პრობლემადაა გადაქცეული ყოველ შემთხვევაში: პათოსით და რომანტიკით. ეს პათოსი და ეს რომანტიკა შექმნა ლენინმა. „რომანტიკა"—არა როგორც სისხლნაკლებობა და „ოცნებობა": რასაკვირველია, კიდევ მეტი: ლენინის სახით მოცემულია ახალი რასსა რევოლიუციონერის. აქ ნება და ინტელექტი ერთი და იგივეა.

ცხადია აქედან: რომ „მარქსიზმთან" ერთად „ლენინიზმი" შეიქმნა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ლენინიზმი" ახალი სწავლაა „მარქსიზმთან" შედარებით. ამაზე ალბად ტომებს დასწერენ.

ლენინი ბედია და მაშასადამე გაბედული. ასეთი „გაბედვა" სამყაროს მიმართ არ ჰქონია არავის. ასეთი რისხვა არ მოვლენია ჯერ კაპიტალისტურ სისტემას. თვითონ სახელი მისი—„ულიანოვ-ლენინი" მოდის ისე როგორც ურაგანი. ლენინში არ არის ის, რაც გულგრილობას იწვევს. ის მოცემულია როგორც ძლიერი კორძი, უტეხი და უკვეთელი. ის სასტიკია როგორც მოქნეული ხმალი მაგრამ „სასტიკია ყოველი შემომქმედი" (ნიცშე). „პირადული" წარეცხილია თითქო მასში. მასში მოსჩანს „უპიროვნო" სახე თვითონ ისტორიისა, ამისთვის არის იგი საოცარი და საშიშარი. ასეთია „ფატუმი" თვითონ ამაშია მისი ძლევა.

სიტყვის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ საჭირო არაა... ვისაც განუცდია, თუ რა არის: მონობა—ჩაგვრა — სიმშილი—დაბეჩავება—წამება: მას არ შეუძლიან არ მიიღოს რევოლიუცია. ვისაც განუცდია, თუ რა არის [illegible] მოსპობა—ადამიანის ღირსების აღდგენა—ქვეყნის გადახალისება—ერთა თვითდამყარება: მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინის, განურჩევლად პარტიული დაყოფის და პროგრამებისა.

* * *

როცა რადიომ ლენინის სიკვდილი მსოფლიოს აცნობა, ალბად ჰაერში მისი ტალღა სხვანაირად დაიკლაკნა. მე არა მგონია არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შერხეულიყოს.

გრიგოლ რობაქიძე.

„ქართ. სიტ.".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო შემოძახილი

საქართველოში.

ლანჩხუთიდან. ქალაქ ლანჩხუთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი და ქალაქის მუშათა და გლეხთა საბჭო უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს საერთაშორისო რევოლიუციის ხელმძღვანელის, ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო. ფიცსა ვდებთ ერთგულად ვემსახუროთ მის იდეალებს.

სამტრედიიდან. სამტრედიის ტექნიკუმის და მასთან არსებულ ცხრაწლიან შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ლენინის გარდაცვალების გამო და თავის საგანგებო სამგლოვიარო სხდომაზე ადგენს სასწავლებელს ეწოდოს ლენინის სახელი და დაინიშნოს ერთ-ერთ საუკეთესო და უღარიბეს მოწაფეს ლენინის სახელობის სტიპენდია.

ჭიათურის ორგანიზაციისაგან. კომპარტიის ჭიათურის ორგანიზაცია თვალცრემლიანი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს მსოფლიო რევოლიუციის ბელადის და კომპარტიის დამაარსებელის ამხ. ლენინის დაკარგვას. ორგანიზაცია სრული დარწმუნებულია, რომ ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად დაამთავრებს მის მიერ აღზრდილი პარტია.

ასეთივე დეპეშა მიღებულია შაუმიანის რაიკომისაგან.

სიღნაღის აღმასკომიდან. სიღნაღის მაზრის მშრომელნი იზიარებენ საერთაშორისო პროლეტარიატის უღრმეს გლოვა-მწუხარებას; აღმასკომის პლენუმი ფიცს სდებს ლენინის წმინდა საფლავის წინაშე ლენინიზმის ცხოვრებაში გატარებით, უკვდავ ჰყოს მისი სახელი.

ხაშურიდან. ქალაქ ხაშურის პარტიული კრება გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ამხ ლენინის გარდაცვალების გამო და ფიცსა სდებს, რომ ამხ. ლენინის ნაჩვენებ გზას არ გადაუხვევს და განვაგრძობთ ბრძოლას ლენინიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

აზერბეიჯანში.

აზერბაიჯანის სახ. კომისართა საბჭოს უჯრედში.

ბაქო. 26 იანვარი. აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს უჯრედმა, ლენინის გარდაცვალების გამო, შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„როდესაც შევიტყვეთ ძვირფასი ბელადის და პროლეტარული რევოლიუციის გენიალური მასწავლებლის გარდაცვალების ამბავი, მოვლენილი დანაკლისის სრული სიმძიმის შეგნებით, ურყევად ფიცსა ვსდებთ გავერთიანდეთ ერთიან კომუნისტურ ოჯახად და ბოლომდე მივიყვანოთ ის საქმე, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ილიჩმა. საუკუნო ხსენება დიდებულ ძვირფას ბელადს".

სომხეთი

გუმბრში.

გუმბრი. 26 იანვ. დღეს საღამოს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, ამხ. ლენინის გარდაცვალების ხსოვნის აღსანიშნავად. მიღებულ რეზოლიუციაში გამოთქმულია უღრმესი მწუხარება და მტკიცე გადაწყვეტილება, რომ გაჰყვებიან ლენინის მიერ დაპყრობილ გზას. საბჭომ დაადგინა ლენინის ძეგლი აგოს გუმბრში.

ერევანი ტრაურში

ერევანი. 26 იანვ. მთელი ქალაქი ტრაურშია. ყველგან ფრიალებენ სამგლოვიარო დროშები. კედლები მორთულია ლენინის სურათებით სამგლოვიარო ჩარჩოებში. სამგლოვიარო დროშები ფრიალებენ სომხეთის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს შენობებზე, ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებზე, სპარსეთის საელჩოზე, ამერიკის და ინგლისის ახლო აღმოსავლეთის დამხმარე კომიტეტების შენობებზე. სომხეთის პრესამ („ხორურდან აიასტანმა" „ავანგარდმა", „მაჩკალმა", „კარმირ ზინვორმა", „ტაგრაკან ზინვორმა" და ყველა პროვინციალურმა გაზეთებმა უძღვნეს ნომრები ამხ. ლენინის უკვდავ ხსოვნას. სომხეთის სახელმწ. გამომცემლობამ გამოუშვა განსაკუთრებული ნომერი ლენინის სურათით და ბიოგრაფიით.

სამგლოვიარო კომისიამ შეაწყო სამგლოვიარო პროცესია პროფკავშირების, პარტორგანიზაციების, მოსწავლეების, გლეხების და წითელ არმიის ყველა ნაწილების მონაწილეობით. ახლომდებარე სოფლებიდან ჩამოდიან დელეგატები სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მისაღებად.

დადგენილ იქნა საკომენდანტო მოედანს, სადაც ხვალ აღმართავენ ამხ. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკს, დაერქვას ლენინის სახელობის მოედანი.

სომხეთის მუშათა ცენტრს—გუმბრს დაერქმევა ამხ. ლენინის სახელი.

რუსეთში

„რევოლიუციის ბელადთა ხსოვნის კვირეული".

მოსკოვი 26 იანვ. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომმა დაად[illegible] ლენინის ხსოვნის [illegible] ახალგაზრდებს შორის დამწ[illegible] [illegible], [illegible] ლიბ[illegible] [illegible] (15 იანვარს), [illegible]ციის ბელადთა ხსოვნის [illegible] 15-დან 22 იანვრამდე.

განამტკიცებენ ილიჩის პარტიას.

მოსკოვი. 26 იანვ. ლენინის გარდაცვალებამ დიდი ლტოლვა გამოიწვია პარტიისაკენ უპარტიო მუშების შორის. ქარხანა „ელიუკს"-ში გამართულ მიტინგზე 53 წლის უპარტიო მუშამ ანოხინმა განაცხადა: „თუ აღარ არის ლენინი, მის ადგილას კომპარტიაში უნდა შევიდნენ უპარტიო მუშები". ანოხინის განცხადებას რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ შეუერთდა 21 მუშა.

მასიური ლტოლვა დასაფლავებაზე.

მოსკოვი 26 იანვ. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან—ქალაქებიდან, დაბებიდან, სოფლებიდან ჩამოდიან ლენინის დასაფლავებაზე დელეგაციები, უმეტესად მუშებისა და გლეხებისაგან მოხუცი გლეხი, რომელიც ჩამოვიდა სოფელ ნავლოგიდან, აღნიშნავს, რომ გლეხები და გლეხი ქალები ემზადებიან მასიურად დასაფლავებაზე წამოსასვლელად.

მადლობა ამხ. ლენინის ოჯახს.

მოსკოვი 26 იანვ. კომინტერნის აღმასკომი და პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო ლენინის ოჯახისადმი მიმართულ წერილში მადლობას უცხადებენ უკანასკნელს იმ მზრუნველობისა და სიყვარულისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ლენინისადმი მისი ავადმყოფობის დროს.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

მოსკოვი 26 იან. კომინტერნის აღმასკომმა მიიღო სამგლოვიარო დეპეშების მთელი რიგი მსოფლიოს ყველა კუთხიდან; მიღებულია დეპეშები ამერიკის „უორკერს პარტია"-ს აღმასკომის, საფრანგეთის ახალგაზრდობის კომკავშირის, ბრაზილიის და ჰოლანდიის კომპარტიის და ჩინეთის კომუნისტური ახალგაზრდობისაგან.

ლენინის სახელობის ქარხანა.

პეტროგრადი 26 იანვ. პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს სამგლოვიარო პლენუმმა, პროფორგანიზაციებთან ერთად, დაადგინა: პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს ხარჯით აგოს ლენინის ძეგლი, მუშათა პროფკავშირის საგუბერნიო საბჭოს პირველ საღამოს ფაკულტეტს ეწოდოს ლენინის სახელი, აქ დაარსდეს ლენინიზმის კათედრა და მუშათა ფაკულტეტს გაეწიოს განსაკუთრებული მზრუნველობა.

ინგლისი

ასეთები ერთხელ იბადებიან საუკუნეში.

ლონდონი. 26 იანვარი. ბერტრან რესსელი გაზეთ „ნიუ ლიდერ"-ში ლენინს ადარებს კრომველს და აღნიშნავს, რომ იმის მსგავსი სახელმწიფო მოღვაწეები ქვეყნად ჩნდებიან მხოლოდ ერთხელ საუკუნეში და საეჭვოა, რომ რომელიმე ქვეყნათაგანმა კიდევ აჩვენოს იმისი მგზავსი.

ტრედუნიონების კონგრესის საბჭოს სამძიმარი.

ლონდონი. 26 იანვარი. ტრედუნიონების კავშირის გენერალურმა საბჭომ მოსკოვში სახალხო კომისართა საბჭოს გაუგზავნა სამძიმარის დეპეშა.

საუკეთესო ძეგლი ლენინს.

ლონდონი 24 იანვარი. გაზეთი „უორკერს ვიკლი" სწერს: „ურიცხვი მუშების და გლეხების გული სევდამ შეიპყრო. მათ ეწვიათ უდიდესი უბედურება. მათ რიგებს გამოაკლდა ყველაზე გაბედული და ერთგული მებრძოლი. ეს მოხდა იმ დროს, როცა მისი ამოცანა თითქმის შესრულებული იყო. მაგრამ ყველამ უნდა განაგრძოს მის მიერ დაწყებული საქმე. ეს იქნება საუკეთესო ძეგლი მისთვის".

ისტორიის უდიდესი მოღვაწე.

ლონდონი. 26 იანვარი. გაზეთი „ნიუ ლიდერ" სწერს: „ისტორიას ლენინის სახით მოევლინა უდიდესი პიროვნება, უდიდესი მოღვაწე, რომელიც ოდესმე ჰყოლია სოციალისტურ მოძრაობას".

ღრმა თანაგრძნობა.

ლონდონი. 26 იანვარი. ლიბერალურ პარტიის წევრმა კენვორტიმ, მუშათა პარტიის წევრმა ჯეკ-ნილსმა და ყოფილ საზღვაო ატაშემ პეტროგრადში გრენფელმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს გამოუგზავნეს სამძიმარის დეპეშა. სპარსეთის და ოსმალეთის ელჩებმა სამძიმარი გამოუცხადეს პირადათ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის და სავაჭრო წარმომადგენლობის სამმართველოზე გლოვის ნიშნათ დახრილია დროშები. საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებმა საერთო კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას, მტკიცე გადაწყვეტილებას მთელი ძალებით განაგრძონ ლენინის მუშაობა და დეპეშით დაავალეს საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირების ცეკას მათი სახელით გვირგვინით შეამკონ ლენინის საფლავი.

ინგლისის კომპარტია შაბათს აწყობს მუშების საზეიმო მიტინგს.

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მრავალმა წევრმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს პირადათ გამოუცხადეს სამძიმარი.

გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი.

ლონდონი. 26 იანვარი. ინგლისის კომპარტიის მდივანმა გაუგზავნა კომინტერნის თავმჯდომარეს ამხ. ზინოვიევს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „კომპარტიის წევრებმა და ინგლისის ყველა რევოლიუციონურმა მუშებმა დიდი მწუხარებით მიიღეს ცნობა რევოლიუციის უდიდესი წინამძღოლის, ყველა ქვეყნის მუშების საყვარელ და პატივსაცემ ბელადის გარდაცვალების შესახებ: მისი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენთვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. დიდი ამოცანა, რომელსაც მან შესწირა თავისი სიცოცხლე, განხორციელებული იქნება. დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ცეკას წევრები ყველა პატიოსან რევოლიუციონერებთან ერთად ფიცავენ განაგრძონ მისი მუშაობა".

პროფინტერნის ინგლისის ბიუროს დეპეშა.

ლონდონი. 26 იანვარი. პროფინტერნის ინგლისის ბიურომ გაგზავნა ლოზოვსკის სახელზე შემდეგი დეპეშა: „პროფინტერნის ინგლისის ბიუროს წევრები ღრმად დაამწუხრა ძვირფასი, საყვარელი ამხანაგის და საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის წინამძღოლის გარდაცვალებამ. ჩვენმა უძლიერესმა მებრძოლმა მოიხსნა თავისი ხმალ აბჯარი და ეხლა წევს უმოძრაოდ, საუკუნოდ განსვენებული. ყველაზე უფრო ურთგულესი და მხნე გულის ცემა შესწყდა სამუდამოთ... მაგრამ ჩვენთვის ასე მძიმე დანაკლისის დროს, პროფინტერნის ბიუროს თვითეული წევრთაგანი ფიცს სდებს განაგრძოს დიდი საქმე, რომელსაც ლენინმა შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე".

გერმანიაში

მუშათა რიგებში მწუხარება.

ბერლინი. 26 იანვარი. რეიხსტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს სოციალ-დემოკრატ ზევერინგს თხოვნით, რათა ნება დაერთო მისთვის ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას დილით, დიდი საოპერო თეატრის შენობაში მიტინგის გასამართავად. მთელი გერმანიის პროლეტარიატი ღრმად დამწუხრებულია ლენინის გარდაცვალებით.

მუშები თავზარდაცემული არიან. წარმოებებში მუშები, მიუხედავათ პარტიული მრწამსისა, იკრიბებიან ჯგუფებად და გაცხარებით არჩევენ საკითხს, თუ როგორ სცენ პატივი ლენინის ხსოვნას მისი დასაფლავების დღეს.

თვით მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული გაზეთებიც დიდი პატივისცემით იხსენიებენ ლენინს.

ლენინის მოწაფეები გადაუხვევლად მისდევენ მის აღთქმებს.

ბერლინი. 26 იანვ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ა, იხილავს რა ლენინის სიკვდილის შემდეგ მოსალოდნელ შედეგებს, სწერს: „ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა რუსეთის შინაგან პოლიტიკურ მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მოხდება, რადგანაც ლენინის მიმდევრები გადაუხვევლად მისდევენ მის აღთქმას.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა იმდენად მტკიცეა, რომ ლენინის სიკვდილი მას ვერ შეარყევს".

მონღოლეთი.

ლენინის საქმე მუდამ იცოცხლებს.

ურგა, 26 იანვ. მონღოლების, ბურიატების, თათრების, რუსების და ურგის სხვა ხალხთა კრება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დიდი ადამიანის და ჩაგრულ ერთა ერთგულ მეგობრის ლენინის გარდაცვალების გამო ჩვენ ვიცით, რომ ილიჩის გარდაცვალებით ჩვენ დავკარგეთ მხოლოდ ის, რაც მასში იყო [illegible] მისი იდეები და მის მიერ [illegible]ლი საქმე არ მომკვდარა და არც მოკვდება და იცოცხლებს და გაფართოვდება, სანამ ყველა ქვეყნების გაერთიანებული პროლეტარიატის ერთიანი კავშირი არ აფრიალებს მსოფლიოში კომუნიზმის წითელი დროშას.

ნორვეგიაში

სასოწარკვეთილებას ადგილი არ აქვს.

ქრისტიანია. 26 იანვარი. „კომუნისტ ბლადეტ"-ი, რომელიც გამოვიდა სამგლოვიარო არშიით, სწერს: „ლენინი მოკვდა. შეწყდა ის ცხოვრება, რომელიც სავსე იყო დაუღალავი ბრძოლით თავისუფლებისა და რევოლიუციისათვის. ეს დანაკლისი ჩვენში იწვევს მწუხარებას, მაგრამ, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას. ჩვენს, კომუნისტებს შორის ლენინი უკვდავია. ლენინი მოკვდა, მაგრამ ის იცხოვრებს მუდამ დაჩაგრულთა მილიონებში".

ოსმალეთში

მეჯლისის სხდომა.

ანგორა. 25 იანვარი. მეჯლისის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ჯელალ-ნურიმ ლენინს უწოდა რუსეთის რევოლიუციის წინამძღოლი, რასაც დეპუტატებმა დასძინეს: „მსოფლიოს". ამავე დროს გამოვიდა დეპუტატი ვანა-ბაკი, რომელმაც განაცხადა, რომ ლენინის სიკვდილმა ჩვენ ყველანი დაგვამწუხრა.—დახმარებას გვიწევდა ჩვენ ყველაზე უფრო მძიმე პირობებში, მუდამ გვახურვებდა წარმატებას და გამარჯვებას, სარგებლობდა თვითეული შემთხვევით, რომ მიხმარებოდა მეჯლისს. წინადადება შემოაქვს გაეგზავნოს სამძიმრის დეპეშა საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს. დეპუტატ ვანა-ბაკის შემდეგ კვლავ გამოვიდა ჯელალ-ნური, რომელმაც თავის წინანდელ სიტყვას დასძინა: „როდესაც ჩვენი ერი განიცდიდა უკიდურეს გაჭირვებას, ლენინმა პირველმა გაგვიწოდა ჩვენ დახმარების ხელი, ის ჩვენ მუდამ გვამხნევებდა და გვამშვიდებდა თავისი წერილებით და დეპეშებით".

მეჯლისის დადგენილება.

ანგორა. 25 იანვარი. მეჯლისმა ერთხმად დაადგინა: სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან დელეგაციის გაგზავნასთან ერთად თანაგრძნობის დეპეშა გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის მთავრობას.

ყოველ მხრიდან

სამძიმრის დეპეშები

მოსკოვი, 26 იანვარი. ჰოლანდიის კომპარტიამ, რეინ ვესტფალიის კომპარტიის კომიტეტმა და ამერიკის ქაღალდის მრეწველობის მუშათა საერთაშორისო კავშირმა გაუგზავნეს საკავშირო ცაკს თანაგრძნობის დეპეშა ლენინის გარდაცვალების გამო.

მუსტაფა ქემალი ამხ. კალინინის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში გამოსთქვამს თავის ღრმა თანაგრძნობას.

სრულიად რუსეთის ცაკმა მიიღო თანაგრძნობის განცხადებები საეკლესიო აღორძინების კავშირის თავმჯდომარის ანტონისა და სრულიად რუსეთის ბაპტისტების კავშირისაგან.

ვარშავა. 26 იანვარი პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ დეპეშით დაავალა პოლონეთის რწმუნებულს მოსკოვში ვიზინსკის თანაგრძნობა გამოუცხადოს საბჭოთა მთავრობას. თანაგრძნობა განაცხადა აგრეთვე პრემიერმა გრაბსკიმ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ობოლენსკი ინახულეს პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა პრეზდეცკიმ და გერმანიის ელჩმა ვარშავში რაიშენმა.

ლენინგრადი

საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის დადგენილება.

მოსკოვი. 27 იანვარი. „წითელი პეტროგრადი"—პროლეტარული რევოლიუციის აკვანია. პეტროგრადის მუშების დამსახურება ჩვენი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინაშე განუზომელია. 1917 წლის ოქტომბრის უდიდესი ამბები, რომელთაც გადაწყვიტეს ჩვენი ქვეყნის ბედი, მოხდა სწორეთ პეტროგრადში. ათეული და ასეული ათასი პეტროგრადელი მუშები გაყვნენ პირველათ ამხანაგ ლენინს ბრძოლაში და შეადგინეს იმ არმიის პირველი რკინის რაზმები, რომლითაც გაიმარჯვა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ბურჟუაზიაზე. პეტროგრადში გაიმარჯვა პირველათ დიდებულმა პროლეტარულმა რევოლიუციამ. ყველა ამის გამო სრულიად საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობას სრულიად სამართლიანად მიაჩნია დააკმაყოფილოს პეტროგრადის საბჭოს თხოვნა, რომელსაც მხარს უჭერენ პეტროგრადის ყველა ქარხნების და ფაბრიკების მუშების რეზოლიუციები, პეტროგრადისათვის ლენინგრადის დარქმევის შესახებ. დეე, ამიერიდან პროლეტარულ რევოლიუციის ეს მსხვილი ცენტრი სამუდამოდ დაკავშირებული იქნეს პროლეტარიატის უდიდეს ბელადის—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან.

სრულიად საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის თავმჯდომარე
კალინინი.
მდივანი ენუქიძე.

ლენინი და ზანგები

მოსკოვი 27 იანვარი. ზანგების მდგომარეობის გაუმჯობესების მსოფლიო ასოციაციის მთავარი თავმჯდომარე გარვეი სრულიად საკავშირო ყრილობის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში სწერს:

„გთხოვთ მიიღოთ მთელი ქვეყნის 400 მილიონი ზანგის უღრმესი მწუხარება ლენინის გარდაცვალებისა გამო. მთელს ქვეყნიერებაზე ჩვენი მოამაგე მხოლოდ ლენინი იყო. გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას."

ლენინის აკლდამა

საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის დადგენილება.

მოსკოვი. 27 იანვ. სრულიად საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობა ამტკიცებს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1924 წ. 25 იანვრის შემდეგ დადგენილებას: „უწევთ რა ანგარიშს მრავალრიცხოვან დელეგა[illegible]ვილს და განცხადებებს, რომლითაც მიმართეს მათ საბჭოთა კავშირის ცაკს და იმ მიზნით, რომ საშუალება მიეცეს ყველა მსურველებს, რომელნიც ვერ მოასწრებენ ჩამოსვლას მოსკოვში დასაფლავების დღისთვის, გამოეთხოვონ საყვარელ ბელადს, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი ადგენს: 1) კუბო ვლადიმერ ილიჩის ნეშთით შენახულ იქნეს აკლდამაში, რომელიც თავისუფალი უნდა იქნეს მნახველებისათვის. 2) აკლდამა აგებულ იქნეს კრემლის კედელთან, წითელ მოედანზე, ოქტომბრის რევოლიუციის მებრძოლთა შორის.

სრულიად საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის თავმჯდომარე
კალინინი.
მდივანი ენუქიძე.

ლენინის სინათლე არასოდეს არ ჩაქრება

სრულიად რუსეთის ქალთა განყოფილებების თათბირი

მოსკოვი. 26 იანვ. გაიხსნა სრულიად რუსეთის ქალთა განყოფილებების თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 180 დელეგატი. პრეზიდიუმში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: კრუპსკაია, სტალინი, რუძუტაკი, კლარა ცეტკინი, სმიდოვიჩი და სხვ.

დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო სეკრეტარიატის მოხსენება, 2) პარტიის ამოცანები ქალთა შორის მუშაობის შესახებ, 3) მუშაობა გლეხქალებს შორის, 4) ქალის შრომა და მისი პერსპექტივები, 5) სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს მოხსენება, 6) ოჯახური უფლება, და 7) პარტიის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. გაეგზავნა სამგლოვიარო დეპეშა ამხ. ლენინის ოჯახს, რუსეთის კომპარტიის ცეკას და კომინტერნს.

ამხ რუძუტაკი წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავს: „ერთად ერთი ნუგეში, ჩვენი პარტიის და მთელი პროლეტარიატის თავზე მოვლენილ უბედურების დროს, მდგომარეობს იმაში, რომ სინათლე, რომლითაც ლენინმა გაანათლა მთელი მსოფლიო, არ ჩამქრალა და არც არასოდეს ჩაქრება.

ჩვენთვის მძიმეა ილიჩის დაკარგვა, მაგრამ ჩვენი ძალა—რკინისებურ მთლიანობაშია: საერთო აზრისა და მოქმედების შედუღება. ეს მსოფლიოში შეეძლო მხოლოდ ლენინს. მას არავინ არ დაივიწყებს. მხოლოდ რკინისებური შეკავშირება პარტიის, მხოლოდ ერთსულოვანი ნებისყოფა, აზრი და მოქმედება ილიჩის აღთქმების მიხედვით —აი ჩვენი გზა.

ჩვენ ყოველდღიურ ჩვეულებრივ მუშაობაში ვიქნებით ლენინის აღთქმების ერთგულნი და მისი ღირსეული მოწაფეები".

ვლადიმერ ილიჩის ხსოვნას თათბირმა პატივსცა ფეხზე ადგომით და სამგლოვიარო ჰიმნის სიმღერით.

პროლეტართა ყველა ბავშვებს

ახკომკავ. ცეკას მოწოდება.

მოსკოვი. 26 იანვ. რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკა თავის მოწოდებაში, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის ყველა საბავშვო კომუნისტურ ჯგუფების და პროლეტართა ბავშვების მიმართ, აღნიშნავს: „ილიჩი გვასწავლიდა ჩვენ არასოდეს არ დავნებულიყავით და მტკიცედ წავსულიყავით დასახულ მიზნისაკენ. ჩვენ შევასრულებთ ილიჩის ამ აღთქმას. ილიჩი არის პროლეტარული ბრძოლის დიდი პიონერი. ილიჩი არის ყველა ქვეყნის მუშების დიდი წინამძღოლი კომუნიზმისაკენ. ყველა პროლეტარების შვილები უნდა იცნობდნენ ილიჩის ცხოვრებას და ბრძოლას.

რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკა მოუწოდებს ფაბრიკების, ქარხნების სკოლების, ქუჩების და გლეხების ბავშვებს შემოკრბნენ ახალგაზრდა ლენინელების ბავშვთა წრეების გარშემო და ცხოვრებაში გაატარონ მათი ლოზუნგები. ცეკა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ ბავშვთა ორგანიზაციებს უწოდებს „ლენინის სახელობის ახალგაზრდა პიონერების კომუნისტურ საბავშვო ჯგუფებს". საბჭოთა რესპუბლიკების პიონერები და სპარტაკები ეხლა ღირსი უნდა იყვნენ იმ დიდი სახელის, რომელიც აწერია მათ დროშას.

ფაბრიკების, ქარხნების, მინდვრების ბავშვებო! პიონერების წითელი დროშებით მხნეთ გასწით ილიჩის გზით. მილიონიანი ახალგაზრდა ლენინელები—საუკეთესო ძეგლია ილიჩისათვის. პიონერები არასოდეს არ უღალატებენ ლენინის აღთქმებს. თუმცაღა ჩვენ პატარები ვართ, მაგრამ ჩვენ ვიზრდებით—და გავხდებით ლენინელები. ილიჩის შესაცვლელად ვიზრდებით ჩვენ, მილიონიანი ახალგაზრდა ლენინელები. „ისწავლე ბრძოლა—ისწავლე ცხოვრება", ასე გვიანდერძა ჩვენ ილიჩმა. მედგრად და შეთანხმებულად ტანჯულთა და დაჩაგრულთა დასახმარებლად, მამების შესაცვლელად".

ლენინის ნაწერების გამოცემა

საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის დადგენილება.

მოსკოვი. 27 იანვარი. საბჭოთა კავშირის მეორე ყრილობა ავალებს ლენინის ინსტიტუტს მიიღოს საჩქარო ზომები, იმისათვის, რომ დაჩქარებით გამოცემული იქნეს ლენინის რჩეული ნაწერები ხალხისათვის ხელმისაწვდომათ, მილიონიან ეგზემპლიარებათ სხვად სხვა ენებზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ენებზე; პირველ რიგში გამოცემული უნდა იქნეს ის ნაწერები, რომლებიც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების და გლეხების ფართე წრეებისათვის. ამასთან ერთად ლენინის ინსტიტუტს ევალება საჩქაროდ გამოსცეს ლენინის წმინდა მეცნიერული ხასიათის ნაწარმოებთა სრული კრებული.

საბჭოთა კავშირის მეორე ყრილობის თავმჯდომარე: კალინინი.
მდივანი: ენუქიძე

ბავშვთა დახმარების ლენინის სახელობის ფონდი

საკავშირო საბჭოთა ყრილობის დადგენილება

მოსკოვი. 27 იანვ. საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობა ადგენს:

დაარსდეს საბჭოთა კავშირის ცაკთან ლენინის სახელობის სპეციალური ფონდი უთავშესაფარო ბავშვების და განსაკუთრებით სამოქალაქო ომით და შიმშილობით დაზარალებულთა დახმარების მოსაწყობად. ამ მიზნით დაევალოს საბჭოთა კავშირის ცაკს ფონდის რაოდენობის, დახმარების ფორმის და აღნიშნული დახმარების განსახორციელებლად ღონისძიებათა სისტემის გამორკვევა.

საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის თავმჯდომარე: კალინინი.
მდივანი: ენუქიძე.

რუსეთის მეცნიერების მუშაკთა კრება

ლენინი—სასწაულია.

მოსკოვი. 26 იანვ. მოსკოვის მეცნიერთა მუშაკთა კრებაზე ამხ. ლუნაჩარსკიმ მოხსენება გააკეთა ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; მომხსენებელმა დაასურათა ლენინის პიროვნება და დაახასიათა ის როგორც დიდი მეცნიერი, მწერალი, პუბლიცისტი, აგიტატორი, ორატორი, ორგანიზატორი. „მარქსის გარდა არ არის სხვა პიროვნება, რომელსაც შეეძლოს სულის სიდიადით და მეცნიერული გენიით ახლოს დადგეს ლენინთან. ლენინი—სასწაულია—დაამთავრა ლუნაჩარსკიმ. იმ დროსაც კი, როდესაც ის ასვენია „კოლონის" დარბაზში, ის ცოცხალია იმიტომ, რომ დიდია ის სურვილი და გავლენა, რომელსაც ავრცელებს ის თავის გარშემო: მორალურად და პოლიტიკურად ლენინი სცოცხლობს ჩვენს პარტიაში; ის უკვდავია".

ლენინი—რუსეთის მეოცე საუკუნის ისტორიის განხორციელება.

ამხ. პოკროვსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ლენინი ჩვენი სასკოლო პოლიტიკის მამოძრავებელი იყო—მან გადაარჩინა 1918 წელში ყოფილი სკოლა დანგრევისაგან, შეუქმნა მატერიალური ბაზა უმაღლეს სკოლას და საფუძველი ჩაუყარა წითელ პროფესურას. დაუშვებელია, რომ ლენინი მოკვდეს. ის ცოცხალია, რადგან მასში ხორცშესხმულია რუსეთის 20 საუკუნის ისტორია. ის ცოცხალია და იცოცხლებს მარადის!

მიღებულ რეზოლიუციაში სამეცნიერო მუშაკები გამოსთქვამენ რწმენას, რომ კაცობრიობის განთავისუფლება და ნამდვილ საკაცობრიო კულტურის დღესასწაულის შექმნა, რომელიც დაიწყო ლენინმა, მიყვანილი იქნება ბოლომდე კოლექტიური გონებით, მასიურ ნებისყოფით და მტკიცე ხელით.

ქართული მეცნიერების და ხელოვნების მუშაკნი ლენინის სიკვდილის შესახებ

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგატები საქ. ცაკის თავმჯდომარე მიხა ცხაკაიასთან და სახ. კომ. საბჭ. მოადგილე ლევან ღოღობერიძესთან

პარასკევს, 25 იანვარს დღის 1 საათზე საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მიხა ცხაკაიას და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მოადგილეს ამხ. ლევან ღოღობერიძეს წარუდგნენ ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და საქართველოს ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგატები ლენინის სიკვდილის გამო სამძიმრის გამოსაცხადებლად. დელეგაციები მიღებულ იქნენ ც. ა. კ. თავმჯდომარის კაბინეტში ცაკის მდივნის ჰ. საბაშვილის, განათლების სახალხო კომისრის დ. კანდელაკის და შრომის სახალხო კომისრის არჩილ მიქაძის თანდასწრებით.

პროფესორთა საბჭოს დელეგაციას წინ უძღოდა უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი. დელეგაციაში შედიოდნენ დამსახურებული პროფესორი მელიქიშვილი, შალვა ნუცუბიძე, დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, თიკანაძე, დიდებულიძე და მოსეშვილი.

ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგაციაში შედიოდნენ: ხელოვანთა მთავარ კომიტეტის და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვასილ ბარნოვი, ვარლამ რუხაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნინო ნაკაშიძე, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფალავა, ალ. ახმეტელი, დიმიტრი არაყიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, მოსე თოიძე და დ. შევარდნაძე.

პროფესორთა საბჭოს სახელით სამძიმარის სიტყვა სთქვა ივანე ჯავახიშვილმა, ხელოვნების ორგანიზაციათა სახელით კოტე მაყაშვილმა.

კოტე მაყაშვილის სიტყვა.

ქართულ ხელოვნების ორგანიზაციათა წარმომადგენლების სახელით სიტყვას ამბობს ხელოვნების მთავარ კომიტეტისა და სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი.

ჩვენ მოვედით დღეს აქ გადმოგცეთ ჩვენი სამძიმარი, ვლადიმერ ილიასძე ლენინის სიკვდილის გამო. ვლადიმირ ილიასძე ლენინი იყო უდიდესი რევოლიუციონერი და ბელადი, რომელსაც დაიმახსოვრებს ქვეყანა. ლენინი იყო ქომაგი მშრომელი მასათა და დაჩაგრულ ერებისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი იდეები სამართლიანობისა მოედებიან სხვა ქვეყნებსაც: ჩვენც ქართველი ხელოვნების წარმომადგენლები ვართ დამწუხრებული ასეთი დიდი გენიის დაკარგვით.

ამის შემდეგ კოტე მაყაშვილი აცნობს ამხ. მიხა ცხაკაიას და ამხ. ლევან ღოღობერიძეს დელეგაციის წევრებს.

მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! მადლობას მოგახსენებთ საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით იმ სიტყვებისათვის, რომლითაც თქვენმა წარმომადგენელმა გამოსთქვა მწუხარება ჩვენი უდიდესი მასწავლებლის და მეგობრის სიკვდილის გამო. ჩვენ გვწამს, რომ თქვენი სიტყვები გულწრფელად იყო ნათქვამი, და არ ჰქონდა მას ხასიათი მხოლოდ ფორმალური დარბაზობისა. ახლა ჩემთან იყვნენ მეცნიერების წარმომადგენლები. თქვენ იგივე უნდა გითხრათ, რაც იმათ, მაგრამ გახსოვდეთ რომ, თქვენ ხელოვნების წარმომადგენელნი, არტისტები, მხატვრები, მუსიკოსები, საზოგადოდ ხელოვნების მსახურნი, თქვენ უფრო სათუთი ნაწილი ხართ ინტელიგენციის და კიდევ უფრო უნდა ბგერავდეთ თქვენი გულით იმ სწავლისათვის, რომელიც ცნობილია კომუნიზმით და რომელსაც ჩაუყარა საძირკველი დიდებულმა ლენინმა და უფრო კარგად უნდა იცოდეთ, რომ ლენინი არ იყო მარტო თავის პარტიისათვის, ის იყო მთელი კაცობრიობისათვის.. ის იდეები, რომელსაც ახორციელებს ჩვენი პარტია არიან საკაცობრიო იდეები, ლენინი და ჩვენი პარტია მხოლოდ ინიციატორებია ამ იდეის განხორციელებისათვის. კიდევ ერთხელ გიცხადებთ მადლობას.

ლევან ღოღობერიძის სიტყვა.

ამის შემდეგ დელეგაციას სიტყვით მიმართა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლევან ღოღობერიძემ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მადლობას გიცხადებთ თანაგრძნობისათვის. ამხ. ლენინის სიკვდილი არ არის მწუხარება მარტო კომუნისტურ პარტიისა და ან რუსეთის. თავის მსოფლიო როლით ამხ. ლენინი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას. ჩვენთვის იმდენად მძიმეა დღევანდელი დღის გრძნობა, რომ მე და ჩემი ამხანაგებიც მოკლებულნი ვართ სიტყვის გამოთქმას. ლენინი არ არის მარტო ჩვენი პარტიის და არც მარტო მუშათა კლასის—ის ეკუთვნის აგრეთვე ხელოვნებას. და აქ ეძლევა დიდი გასაქანი ქართველ ხელოვანთაც. ამხანაგი ლენინის ცხოვრება იყო ბრძოლის პოეზია და პოეტები, მხატვრები, არტისტები მოვალენი არიან გამოჰკვეთონ მისი უკვდავი სახე. პირადათ მე მინდა ქართველმა ხელოვნებამ იგრძნოს მისი დიდი ბუნება. რასაკვირველია, ეს არის მხოლოდ სურვილი და არა მთავრობის ბრძანება.

ლენინი მუშათა კლასის ბელადობის გარდა არის უდიდესი მოხარჩლე ერთა ნამდვილი თავისუფლებისა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხელოვნების წარმომადგენლები, რომელნიც უარყოფენ ძველი ცხოვრების უკანონობას, ერთგული მოკავშირენი არიან პროლეტარიატის, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი აქ მოსვლა არ არის მარტო ოფიციალური ვალის მოხდა, არამედ გულწრფელი გამოთქმაა ჩვენი საერთო მწუხარებისა უდიდესი რევოლიუციონერისა და ჩვენი პარტიის ბელადის დაკარგვის გამო. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მუშათა კლასთან ერთად მთელი მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნება იგრძნობს ამხ. ლენინის სიკვდილს.

მადლობას მოგახსენებთ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით თქვენ და აგრეთვე მთელ ქართულ ხელოვნების მოღვაწეებს, ვინც თქვენ აქ გამოგზავნათ.

ამხ. მ. ცხაკაიას სიტყვა

პროფესორთა საბჭოს დელეგაციისადმი.

ამხანაგებო და მოქალაქენო! მადლობას [illegible] [illegible] თანაგრძნობისათვის, რომელსაც თქვენ, საქართველოს ინტელიგენციის უკეთესი ნაწილი გვიცხადებთ იმ საშინელ დაკარგვის გამო, რომელიც ეწვია საბჭოთა ქვეყანას და კომუნისტურ პარტიას.

ეს დაკარგვა მით უმეტეს საშინელია და სამწუხარო, რომ ამხ. ლენინი ძლივს გადასცდა 50 წლის ასაკი, თქვენ მოგეხსენებათ, მეცნიერთათვის და დიდ მოღვაწეთათვის არის მხოლოდ აყვავილებული, გაფურჩქვნილი ახალგაზრდობა. ლენინმა იმდენიც ვერ იცხოვრა, რამდენიც კარლ მარქსმა, რომელიც 65 წლისა გარდაიცვალა—ჩვენ მასაც „ვტიროდით", ვინაიდან კარლ მარქსი იყო იმ დროისთვის ყველაზე უფრო მძლავრი და გამობრძმედილი ცხოვრების გამოცდებით და არამც თუ მარტო გენიოსი ბუნებრივათ: და მაინც სადმე მას შეეძლო კიდევ მეტი ღვაწლი დაედო კაცობრიობის საქ[illegible] დღეოთ მებრძოლ პროლეტარიატისათვის და დაეჩქარებინა მისი განთავისუფლების დრო.

თქვენ კარგათ იცით, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენლები მაგალითად: დარვინი, ტოლსტოი და ბევრი სხვა 80 წლის გადასცდნენ.

ჩვენ მებრძოლი მასწავლებლები კარლ მარქსი და ლენინი შემქმნელნი კომუნიზმისა და საბჭოთა ქვეყნისა ასე ადრე მოსწყდნენ თავის დიდებულ მოღვაწეობას...

თქვენ, მოქალაქენო, კარგათ იცით, რომ ამხ. ლენინი შემქმნელია და სულის ჩამდგმელი იმ წესწყობილებისა, რომელშიაც თქვენ ჩვენთან ერთად ჰპოულობთ, მე მგონია საუკეთესო პირობებს მოღვაწეობისათვის, ვინემ როდისმე წინეთ ჰპოულობდით თქვენი სამეცნიერო და ყოველგვარი სხვა მოღვაწეობისათვის. მერწმუნეთ, რომ არც ამ წესწყობილებამ, [illegible] წესწყობილებას, არ შეეძლო შეექმნა ისეთი ხელშემწყობი პირობები, რომელიც მისცემს მეცნიერებას საშუალებას გადასდგას დიდი ნაბიჯები კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

მე მახსოვს ჩივილი წარსულ საუკუნის მიწურულში და ამ საუკუნის დასაწყისში ბევრი ბურჟუაზიულ მეცნიერებისა და სხვათა შორის ინგლისის: რომ მეცნიერება გაკოტრდა, რომ მას არ შეუძლია ძველებურათ დიადი აღმოჩენანი და დიდი სისტემების შექმნა.

სრულიად საფუძვლიანად უპასუხებდნენ ამას რადიკალური ელემენტები, რომ ეს მართალია [illegible] კაპიტალსა და [illegible] დაწყება და ბოლომდე მიყვანა ამ ხალხის მასებისათვის [illegible] ექსპლოატაცია კაპიტალისტებისა კაპიტალიზმს უნდა მოეღოს ბოლო და დამკვიდრდეს შრომის მეუფება.

აი, მოქალაქენო, ის ვისაც დაკარგვას თქვენ მისამძიმრებთ, ესე იგი ამხ. ლენინისას—მან ჩაუყარა საფუძველი აი ამ ახალ მეუფებას და დედამიწისა მეექვსედ ნაწილზე მოუღო კაპიტალიზმს ბოლო და საბჭოების, მუშათა და გლეხთა, მთავრობას კომპარტიის ხელმძღვანელობით გაუკაფა გზა მომავლისაკენ.

მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო და გაადვილება საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლისა, რომ დედამიწის ზურგზე ჩვენ ქვეყანასავით საბჭოთა ძალაუფლება დამყარებულიყო.

მაგრამ ის ამას ვერ მოესწრო. ჩვენ სრულიად და სავსებით კომუნისტურ პარტიის დიქტატურის და საბჭოთა დიდი კავშირის განმტკიცებას განვაგრძობთ; არ ვუღალატებთ ამხ. ლენინის ხაზს და იმედი გვაქვს ჩვენც მივაღწევთ დასახულ მიზანს.

მისი ხატება წინამძღვარი იქნება ჩვენი.

და თქვენ მოქალაქენო, როგორც მაღალი კვალიფიკაციის და გონებრივი მუშაობის წარმომადგენლები— თქვენ თანაგრძნობას განახორციელებთ უფრო უკეთ მით რომ ყოველდღიური მუშაობით მოგვიმზადებთ თქვენს აუდიტორიებში და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ახალი ქვეყნის მოქალაქეთ.

მერწმუნეთ, კომუნიზმი სრულიად არ არის ჯგუფური და პარტიული მოძღვრება. „თავის-თავად"—ის არის სრულიად საკაცობრიო.

— თუ ის დღეს პარტიულია, მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს უნდა აელო წინამძღოლობა კაცობრიობის ძველი ქვეყნის გადაკეთებისა და ასეთი ვინ იქნებოდა თუ არა კაცობრიობის ყველაზე დატანჯული და დაჩაგრული ნაწილი ე. ი. პროლეტარიატი.

აი სად იმალება საიდუმლოება იმისა, რომ პროლეტარიატი დღეს არის მესვეური კომუნიზმისა და მედროშე კომუნისტურ ინტერნაციონალისა.

აი მოქალაქენო, ჩემი მადლობის სიტყვა და იმედი მაქვს, რომ თქვენც და თქვენი მოსწავლენიც იგულისხმებთ ამას და თქვენ გაამართლებთ ჩვენს და ისტორიის იმედებს.

გაუმარჯოს თქვენს მუშაობას, თქვენს შრომას კიდევ გმადლობთ.